ისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმომწერის ფასი: [illegible] —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკ.[illegible]—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

4 გვისტო 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 183 (1038)

დღიური

— ბულგარეთში ძლიერდება პარტიზანული მოძრაობა.
— ამერიკასა და რუმინეთს შორის კონფლიქტი მწვავდება.
— სამხრეთ-სლავიამ და რუმინეთმა პროტესტი გაუგზავნეს ბულგარეთს 8000 მოხალისის გაწვევის გამო.
— კონსტიტუციის დღესასწაულის დღეს კომუნისტებმა დემონსტრაციები მოაწყვეს მთელს გერმანიაში.
— ინგლისის ლითონის მრეწველობის მუშებს გაფიცვით იმუქრებიან.
— გადადგა ფინეთის ჯარების შტაბის უფროსი.

ხალხო სახლში

[illegible]

სდომა

ოფიციებათა მუშაობის შე-

ების ასწრება სავალდებულოა [illegible] მიუღია საბჭოს ჟურნალ „მომა- 2/6 სექციების და ადმასკომის სხდომაზე—მიიღებენ ასეთს ალმას- სტატისტიკურ განყოფილებაში ოთახი № 66.

ნ. 1412 2—2.

პრეზიდიუმი.

ფრანგეთ-გერმანიის „შეთანხმება"

ანასკნელი ცნობები მოკავ- ოო კონფერენციაზე ოპტიმი- ო განწყობილება სუფევს. ერენცია თავის სრულს ავდება და როგორც სჩანს ია-საფრანგეთის დელეგა- ნ შეთანხმებას აღწევ.

ასანიშნავია, რომ ეთ მნიშ- ოვან საკითხში გორიცაა ის ევაკუაცია, რანგეთის გერმანიის დელეგაცია უშუა- მოლაპარაკებას აწარმოებენ. რიომ უკვე აცნობ მაკდო- ს, რომ მოლაპარაკება რუ- ევაკუაციის შესახებ წარმა- მიმდინარეობს საფრანგე- თანახმაა რურ დაცლაზე საკითხი სდგას ის შესახებ, რამდენ ხანში და მოხდეს ანგეთის ჯარების გაყვანა დაპ- ილ ოლქებიდ

ურ კიდევ არ აქვს ცნობა როგორი შეთანხმებას მიაღწი- საფრანგეთ-გერმანიის დელე- ებმა ამ საქმეში, მაგრამ, ია, რომ გერმანიის და მთე- მსოფლიო მუშათა კლასის ს უკან საფრანგეთის და გერ- ბურჟუაზ მონობის ახალ ს უღელი გერმანიის მუ- კლასს.

მანიის ბურჟუაზია და მისი რება ხოტავიდანვე, რურის ციის დაწყისშივე, საკმაო ბებზე დიოდენ საფრანგე- კაპიტალის მიმართ, ოღონდ დათმეები მუშათა კლასის იდან ანაზღაურებულიყო სა- დღე გადიდებით და ხელ- შემცირებით. დღესაც ეს უაზია სიამოვნებით ღებუ- ერიოს მოწყალებას; ის ებიც უარს არ ამბობს ნის სრულ განიარაღებაზე ფრანგეთის კაპიტალისთვის აციების და ეკონომიურ ესობათა მიცემაზე.

ანგეთი, რომელიც ასეთ ებელ პოზიციებს ადგა ის მიმართ, დღეს უშუა- სხვის დაუხმარებლად „სა- ენას" ნახულობს გერმანიის ბასთან.

რაა, რომ საფრანგეთი სცდი- ინგლისის გავლენის შესუს- კონტინენტზე. ერიო ეკო- რი თვალსაზრისით უდგება ს, ვინაიდან ის დარწმუნდა, ფაქტიურათ ბანკირები და ული მეთვალყურე, „ოქ- ნ ჩამხრჩვალი" ამერიკა სარგებლობენ საფრანგეთ- ის დამოკიდებულებით. დროს საფრანგეთისთვის არახელსაყრელი იყო ინგ- გავლენის გაძლიერება გერ- ი და ის კიდეც სცდილობს სუსტებას.

ერალი ნოლლეს წინააღმდე- ურის ევაკუაციის საკითხში ით იქნა დაძლეული ერიოს ეში, რომელიც ერთხმად ს თავის პრემიერის პოლი-

საფრანგეთის ბურჟუაზიისთვის უმჯობესია გერმანიის გაძარცვის წარმოება „მშვიდობიანი" გზით, გერმანიის მთავრობის სრული ნებაყოფლობით და დასტურით. ოკუპაცია მეტად ძვირი უჯდებოდა საფრანგეთს და ეკონომიურათ მაინცდამაინც სასარგებლოთ ვერ გამოდგა მისთვის.

საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულებიდან კი ერიო გაცილებით მეტ სარგებლობას მოელის და როგორც სჩანს საფრანგეთის ბურჟუაზიაც ასე უყურებს საკითხს. გერმანიის მთავრობა კი მუხლმოდრეკილი მოითხოვს, როგორც ერიოს, ისე ბანკირების მოწყალებას და ადვილათ თანხმდება თავის მოწინააღმდეგე იმპერიალისტურ-კაპიტალისტურ ხროვის მოთხოვნილებებზე. ექსპერტთა კომისიის გეგმის გატარების შესახებ ხელშეკრულებას გერმანიის დელეგაციამ ხელი მოაწერა ჯერ კიდევ შაბათს. ჩვენ ვიცით, თუ ვის ინტერესებს ემსახურება ეს გეგმა. როგორც ინგლისის ტრანსპორტის მუშათა კავშირის მდივანმაც განაცხადა დოუესის გეგმა „იცავს ფინანსიური კაპიტალის ინტერესებს და იწვევს მასების გაღატაკებას".

ეს გეგმა გერმანიის მუშათა კლასს მეტად უნუგეშო მდგომარეობაში აყენებს. გერმანია-საფრანგეთის კომერციული ხელშეკრულება კიდევ უფრო ამძიმებს იმ უღელს, რომელიც კისერზე აწევს გერმანიის მუშათა კლასს.

ყოველივე ეს ხდება სოციალ-შემთანხმებელთა სრული დასტურით, რომლებიც ლონდონის კონფერენციას თავის გამარჯვებათ სთვლიან. საფრანგეთის სოციალისტების ლიდერები რენოდელი და გრუმბახი ერრიოსთან ერთად მიემგზავრებიან ლონდონში, რომ უფრო წარმატებით ჩაატარონ საფრანგეთ-გერმანიის კაპიტალის ვაჭრობა.

ამნაირათ მუშათა კლასის ზურგს უკან კაპიტალისტებმა და სოციალისტ-შემთანხმებლებმა დროებით თითქმის მიაღწიეს შეთანხმებას. ვნახოთ, თუ რამდენათ ხანგრძლივი და მტკიცე იქნება ეს „შეთანხმება".

გერმანიის მძიმე მდგომარეობას ამ „შეთანხმებით" არაფერი ეშველება, გერმანიის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი მას ვერ შეურიგდება. მოკავშირეთა ახალი ხელშეკრულება ისევე მიუღებელია მუშათა კლასისათვის, როგორც ვერსალის ხელშეკრულება.

სოციალ-შემთანხმებლებმა და ბურჟუაზიამ სხვა გამოსავალი ვერ მონახეს არსებული მდგომარეობიდან. ჩვენ კი გამოსავალს ვხედავთ მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციაში, რომლის მებრძოლთა რაზმები დღითი დღე იზრდებიან.

რძოლა უმუშევრობასთან

ს ჩვენს გაზეთში იბეჭდება უმუშევრობასთან მებრძოლი ლური კომისიის დაარსების . კომისია იმუშავებს ამიერ- ის მასშტაბით. მასში შედიან მადგენლები ინსპექციის, სა- ოლო კომისიის, შრომის კო- ატის, პროფსაბჭოების, ზ. ს. რიატის. კომისიის მუშაობაში ლეობის მისაღებად მოწვეული აგრეთვე დამზღვევ სალაროთა მადგენლები. კომისიის მუშაო- ზრახულია ორი თვით.

ადლ, უმუშევრობასთან ბრძო- ძლევა გეგმა-შეწონილი ხასია- ის ჩატარდება განსაკუთრე- ორგანოს საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ. ეს ორგანო აერთიანებს ამ საკითხთან რაიმე დამოკიდებულების მქონე ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს.

რა გზით შეიძლება უმუშევრობის შემცირება, მასთან წარმატებითი ბრძოლის წარმოება?

ხსენებულმა კომისიამ თავის პირველ სხდომაზე, სხვათა შორის, დაადგინა—მოახდინოს დაკვრითი წესით შრომის ბირჟის რეორგანიზაცია და უმუშევართა გაცხრილვა.

ჩვენ უკვე გავაცანით მკითხველს, თუ რაში უნდა გამოიხატოს ეს რეორგანიზაცია. შრომის ბირჟის ახალი სისტემის მიხედვით, უარყოფილია წინანდელი წესი სამუშაოზე უმუშევრების მექანიკური, რიგის მიხედვით გაგზავნისა და წესდება შუამავლობა დამქირავებელსა და უმუშევარს შორის.

ეს ზომა გაზრდის ბირჟისადმი სამეურნეო ორგანოების ნდობას და კვალიფიკაციურ უმუშევრებს მეტ საშუალებას მისცემს უფრო ადვილად მოძებნონ ადგილი.

მეორე მომენტია—უმუშევართათვის შეღავათების გაცემის უფლების ჩამორთმევა ბირჟისგან. ამით შემცირდება საეჭვო ხასიათის უმუშევართა რიცხვი, რომელნიც ბირჟაში ეწერებოდნენ შეღავათების მისაღებად.

მეტად მნიშვნელოვანია ის დადგენილებაც, რომლის თანახმად უნდა მოხდეს უმუშევართა საფუძვლიანი გაცხრილვა. შრომის ბირჟიდან მოხსნილი იქნებიან შრომის შემთხვევითი მაძიებელნი, კვალიფიკაციის არ მქონენი, ნაკლებ კვალიფიკაციის და სტაჟის მქონენი, კანტორის მოხელენი. ამ ღონისძიებათა გატარებით ბირჟა განტვირთულ იქნება სანახევროდ მაინც და იქ დარჩებიან უფრო კვალიფიკაციონური და ჩვენი წარმოებისათვის გამოსადეგობის თვალსაზრისით ღირებულების მქონე ელემენტები.

მაგრამ, ცხადია, რომ შრომის ბირჟის რეორგანიზაცია ვერ მოსპობს ნამდვილ უმუშევრობას.

საჭიროა სხვა ზომები.

პირველ ყოვლისა საზოგადოებრივ სამუშაოების ფართედ მოწყობა და მათში უმუშევრების ჩაბმა.

თბილისში და სხვა ქალაქებში უკვე დაწყებულია ასეთი სამუშაოები და ახლო მომავალში განზრახულია მათი გაფართოვება.

სახლების მშენებლობა, ქუჩების გაყვანა-შეკეთება, საერთოდ ქალაქის კეთილმოწყობა, სხვა საწარმოო სამუშაოთა წამოწყება მოითხოვენ დიდძალ მუშა-ხელს. სამეურნეო ორგანოებმა რაც შეიძლება მეტი რიცხვი უმუშევრების უნდა მიიზიდონ ამ სამუშაოებზე. შრომის ბირჟებმა ამაში მათ ხელი უნდა შეუწყონ.

შემდეგი ზომად უნდა ჩაითვალოს უმუშევართა არტელების ორგანიზაცია. ბევრგან ასეთმა არტელებმა გამოიჩინეს სიცოცხლის უნარი და დადგნენ საკუთარ ფეხზე. პირველ ხანებში უმუშევართა საწარმოო შრომის ამხანაგობებს პროფკავშირებმა და სამეურნეო ორგანოებმა უნდა გაუწიონ მატერიალური და ორგანიზაციული დახმარება.

უმუშევრობის შესამცირებლად მცირე მნიშვნელობა არა აქვს აგრეთვე ბრძოლას ე. წ. ზედმეტ მუშაობასთან და შეთავსებასთან. ზედმეტი მუშაობა და შეთავსება ფართედ არიან გავრცელებული და ისინი ართმევენ ლუკმა პურს უმუშევრებს. ეს არანორმალური მოვლენა უნდა მოისპოს ერთხელ და სამუდამოდ. ამ საქმეში შრომის კომისარიატის ორგანოებს ენერგიული დახმარება უნდა გაუწიონ პროფესიონალურ ორგანიზაციებმა, კერძოდ მათ ძირითად უჯრედებმა—ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტებმა და ადგილკომებმა. მათი დაუხმარებლად ძნელია ამ სენის დაძლევა.

აგრეთვე სასურველია უმუშევრების ნაწილის ჩაბმა სასოფლო მეურნეობაში, სასოფლო-სამეურნეო კომუნების მოწყობის და მათთვის შესაძლებელ დახმარების გაწევის გზით.

უნდა იქნას გაუმჯობესებული უმუშევართათვის მატერიალურ დახმარების აღმოჩენის საქმე. ამ მხრივ დამზღვევ სალაროებმა და პროფკავშირებმა უნდა გამოიჩინონ მეტი უნარი.

სახელმწიფომ უმუშევართა უზრუნველსაყოფად უნდა გაიღოს შესაძლებლობის ფარგლებში მნიშვნელოვანი ფონდი.

სახელმწიფომ, პროფკავშირებმა, მუშათა ფართე მასსებმა, სამეურნეო ორგანოებმა უნდა გააერთიანონ ღონისძიებანი უმუშევრობასთან საბრძოლველად, უმუშევრობის მძიმე ხვედრის შესამსუბუქებლად.

ჩვენ ვიცით, რომ დღევანდელ პირობებში უმუშევრობის სავსებით მოსპობა მოუხერხებელია. უმუშევრობა იკვებება ჩვენი ეკონომიური პირობებით და მისი აღმოფხვრა შესაძლებელი იქნება ქვეყნის მეურნეობის შემდეგი აღორძინებასთან ერთად.

მაგრამ უმუშევრობის საგრძნობლად შემცირება, უმუშევრების მდგომარეობის შემსუბუქება კი ეხლავ შესაძლებელია, თუ ამისათვის ავამოძრავებთ მთელ ჩვენ ძალღონეს და დაწვრილებით გამომუშავებულ ერთიანი გეგმით შევუდგებით საქმეს.

X.

სოფელი

გლეხთა ურთიერთი დახმარების კომიტეტები

გუშინ ჩვენ გვქონდა მოთავსებული ამხ. კ. ხომერიკის წერილი, რომლიდანაც სჩანს, რომ მაზრაში მომუშავე ზოგიერთი ამხანაგები გლეხკომებს ალმაცერად უყურებენ, ზედმეტ ორგანიზაციად სთვლიან, ათვალწინებული ყავთ ისინი და მათში მომუშავენი, ზოგიერთ ადგილას კიდეც აფერხებენ მათ მუშაობას.

გლეხკომების არსებობა, საბჭოების და კოოპერაციის გვერდით, ზოგიერთებს საჭიროდ არ მიაჩნიათ.

ასეთი შეხედულება უეჭველად შემცდარია და შეუწყნარებელი. ეტყობა, რომ გლეხკომების მნიშვნელობა, მათი ამოცანები და მუშაობის შინაარსი არა ყველას აქეთ კარგად შეგნებული.

აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ასეთ დამოკიდებულებას გლეხკომებისადმი აქა-იქ წააწყდებით რუსეთშიც.

„იზვესტია" თავის ერთ-ერთ მეთაურ წერილში (№ 169) ილაშქრებს ასეთი ყალბი და მავნე შეხედულების წინააღმდეგ და იცავს გლეხკომებს:

„ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ გლეხკომები შეიძლება იყვნენ გლეხთა თვითმოქმედების სასარგებლო ორგანოებად და სრულებით არ შეუშლიან ხელს საბჭოებს, პირიქით, ბევრ რამეში იქნებიან მათი კარგი დამხმარენი. გლეხკომების იდეის რაობა მდგომარეობს იმაში, რომ გლეხს მათი საშუალებით შეუძლია თავი დაიცვას შემთხვევითი უბედურებათაგან; რომ ღარიბ გლეხს ურთი-ერთი დახმარების ნიადაგზე შეუძლია აიცილოს მწვავე მომენტები თავის სამეურნეო მოქმედებაში. ბოლოს, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების ნებაყოფლობითმა ორგანიზაციამ უნდა გაამტკიცოს ძმური დამოკიდებულების საფუძველი სოფლის ღარიბ მოსახლეობის შორის".

ბევრს კიდევ ჰგონია, რომ გლეხკომები წარმოადგენენ პარალელურ ორგანოებს კოოპერაციისას, რომელიც აკავშირებს გლეხობას მისი სამეურნეო საჭიროებათა საფუძველზე. ეს შემცდარი აზრია:

„კოოპერაციას აქვს სოფლად თავისი ამოცანები, რომელნიც იმაში მდგომარეობენ, რომ ასწიოს გლეხური მეურნეობა, გაადიდოს მისი მატერიალური ფუძე სოფლის გაზრდილ საშუალებათა თავმოყრის გზით, და თუ კოოპერაცია თავის მოქმედების ნაწილში, ვთქვათ, კრედიტის საშუალებით, რამოდენიმედ ანხორციელებს ურთი-ერთი დახმარებასაც, ეს სრულებით არ უარყოფს გლეხური ურთიერთ დახმარების, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციული ამოცანის, საჭიროებას".

უეჭველად ვიწრო და საზიანოა ის შეხედულება, რომ თუ გვაქვს რამდენიმე ორგანო, რომელნიც ემსახურებიან სოფელს, თითქო სხვა ორგანოები საჭირონი არ იყვნენ. გლეხობის თვითმოქმედებას უნდა მიეცეს ფართე გასაქანი. ამოცანა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ

„შევსძლოთ მოსახლეობის მრავალ ფეროვანი თვითმოქმედების შეფარდება სხვა და სხვა ორგანიზაციების მკაფიოდ ჩამოყალიბებული ურთი-ერთი დაქვემდებარების ამოცანებთან, მოვახერხოთ მათი შეთანხმებული და მწყობრი მუშაობა.. რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის დაშვება, რომ საბჭოებმა და კოოპერაციამ ხელი აიღონ თავიანთ ფუნქციებზე რომელიმე სხვა ორგანიზაციის სასარგებლოდ, მაგრამ არც იმ შემცდარი თვალსაზრისის წამოყენებაა დასაშვები, რომ საბჭოს შეუძლია ყველაფერი თავზე იდვას, ხოლო კოოპერატივს—ყოველგვარი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს".

ასეთი თვალსაზრისით ჩვენ ვერ შევსძლებთ საბჭოთა საზოგადოებრივ მუშაობაში მოსახლეობის ფართე წრეების ჩაბმას. ხოლო მათი გამოყენება კი საერთო საბჭოთა აღმშენებლობაში შეადგენს ჩვენს ამოცანას. ეს კი მოსახერხებელია, სხვათა შორის, გლეხკომების ორგანიზაციის გზით.

კერძოდ. წრევანდელ მოუსავლობასთან დაკავშირებით მეტად გაიზარდა გლეხკომების მნიშვნელობა. გვალვასა და მის შედეგებთან ბრძოლაში ჩვენ უნდა დავეყრდნოთ მოსახლეობას თვითმოქმედებას, ამ თვითმოქმედების ორგანიზაციას, გლეხკომს (კოოპერაციასთან ერთად). ჩვენი პარტიის ცეკას მიმართვაშიც ვკითხულობთ:

„გლეხკომები უნდა გახდნენ პარტიის მთავარი დასაყრდენი ღარიბ გლეხების ინტერესებისათვის ბრძოლის საქმეში, ბრძოლაში კულაკებსა და სპეკულიანტებთან, რომელნიც სცდილობენ ხელი მოითბონ ხალხის გაჭირვებასა და დამშევაზე. გლეხკომებმა თავიანთ ხელში უნდა აიღონ სათესლე სესხის, საქონლის შესაძენ კრედიტის, სასურსათო დახმარების განაწილება და სხ., შემდეგი პრინციპის მიხედვით: „გლეხკომები ადგენენ გლეხების სიას, რომელთაც ეძლევათ ესა თუ ის შეღავათი ან სესხი, ხოლო აღმასკომები ამტკიცებენ მას".

ამგვარად, გლეხკომები ცნობილი ორგანიზაციაა სოფლად, რომლებსაც პარტია და ხელისუფლება აკისრებენ დიდ და საპასუხისმგებლო ამოცანას და ამტკიცებენ გლეხთა ურთიერთი დამხმარე კომიტეტების, როგორც გლეხური საზოგადოებრივობის ორგანოების, როლსა და მნიშვნელობას.

ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიონ იმ ამხანაგებმა, რომელნიც ეჭვის თვალით უყურებენ გლეხკომებს და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მათ მუშაობას. ამავე დროს საჭიროა გლეხკომებზე ხელმძღვანელობის გაძლიერება და მათში სამუშაოდ საიმედო ამხანაგების გაგზავნა.

ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმება

შესდგა ინგლის-საბჭოთა კონფერენციის უკანასკნელი სხდომა

ამხ. რაკოვსკიმ კონფერენციის სხდომაზე გამოაქვეყნა დეკლარაცია

ინგლისთან შეთანხმებას საბჭოთა მთავრობის დიდ პოლიტიკურ გამარჯვებად სთვლიან

უკანასკნელი სხდომა

ლონდონი. 13 აგვისტო. გუშინ ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში პონსონბის თავმჯდომარეობით შესდგა ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციის საბოლოო სხდომა. ამხ. რაკოვსკიმ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც, სხვათა შორის, გამოთქმულია საბჭოთა მთავრობის შეხედულება განიარაღების საკითხზე. სხდომის დახურვის დროს ორივე მხარემ გამოთქვეს კმაყოფილება მოლაპარაკების წარმატებით დასრულების გამო.

უდიდესი პოლიტიკური გამარჯვება

ოსმალეთის ელჩის აზრი.

მოსკოვი, 13 აგვისტო. ოსმალეთის ელჩმა მოსკოვში მუხტარ-ბეიმ, „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების მნიშვნელობის შესახებ, განაცხადა, რომ ლონდონში დადებული საერთო სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირისა და ინგლისს შორის წარმოადგენს ყველაზე უდიდეს პოლიტიკურ გამარჯვებას საბჭოთა კავშირის მიერ მიღწეულ გამარჯვებებს შორის.

ეს შეთანხმება გააძლიერებს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას და მეორე მხრით უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ზრდას. ოსმალეთის ხალხი, რომელსაც აკავშირებს საერთო ინტერესები საბჭოთა კავშირთან აღმოსავლეთში, უეჭველად სრული კმაყოფილებით შეხვდება მიღწეულ შეთანხმებას.

რას მოგვცემს შეთანხმება

ინგლისის ვაჭრობის მინისტრის ყოფილი ამხანაგი ხელშეკრულების შესახებ.

მოსკოვი. 13 აგვისტო. ინგლისის ვაჭრობის მინისტრის ყოფილმა ამხანაგმა უაიზმა, რომელიც იმყოფება მოსკოვში, განუცხადა „როსტა"-ს წარმომადგენელს: „ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადებას დიდი კმაყოფილებით შეხვდებიან [illegible] და განსაკუთრებით სავაჭრო-სამრეწველო და ფინანსიური წრეები. ხელშეკრულების დადება უეჭველად დაუყოვნებლივ გავლენას იქონიებს ინგლისის და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაზე".

შეხო რა საკითხს სავაჭრო კრედიტების შესახებ, უაიზმა აღნიშნა რომ ასეთი კრედიტები იყო შემთხვევითი და მოკლევადიანი, ეხლა კი საკითხი სხვაგვარად გადაიჭრება.

„დღეს ცენტრო-კავშირში—ამბობს უაიზი—ჩვენ შევიმუშავეთ ინგლისის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ერთ-ერთ გამოჩენილ ფაბრიკანტებთან ხელშეკრულება, რომლის ძალით საბჭოთა კავშირში შემოტანილი უნდა იქნეს მანქანები 5 წლიანი კრედიტის საფუძველზე. ეს პირველი მერცხალია. ასეთი ხელშეკრულებები ჩვეულებრივ მოვლენად იქცევიან. ხელშეკრულების დადება, სხვა მოსაზრებებს რომ თავი დავანებოთ, წარმოადგენს დიდ ნაბიჯს წინ ინგლისის და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობაში. ამას გარდა, ინგლისის მაგალითი უეჭველად გავლენას იქონიებს სხვა ქვეყნებზედაც.

ამხ. ოვანესოვი შეთანხმების შესახებ

მოსკოვი, 13 აგვისტო. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ოვანესოვმა „როსტა"-ს წარმომადგენელთან საუბრის დროს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ხელის მოწერის შესახებ განაცხადა.

„ხელშეკრულების დადებით იწყება ახალი ერა დასავლეთ ევროპის და ჩვენი ურთიერთობის ისტორიაში, ვინაიდან ის სპობს დიდი ხნით რაიმე ინტერვენციის შესაძლებლობას. ინგლისმა, რომელმაც ხელი მოაწერა ხელშეკრულებაზე, ამით გამორიცხა თავისი თავი იმ სახელმწიფოთა კოალიციიდან, რომლებიც ოცნებობენ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევაზე. ამის შემდეგ იმპერიალისტური საფრანგეთი გარიყული რჩება, და უნდა ვიფიქროთ, რომ ბუნებრივი გონიერება უკარნახებს მომავალში მის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს ხელი აიღონ წინანდელ სამარ პოლიტიკაზე და გადავიდენ მოლაპარაკებაზე ჩვენთან მტკიცე ხანგრძლივი ეკონომიური ურთიერთობის დამყარების ნიადაგზე. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია ინგლისის ეკონომიურმა მდგომარეობამ: ცხადია, რომ სარგებლობა, რომელიც მიიღო კაპიტალისტურმა ინგლისმა გერმანიის დამარცხების შემდეგ, აანაზღაურა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იმ ზარალის, რომელიც მიაყენა ინგლისს მსოფლიო სავაჭრო აპარატის საერთო მოშლამ, ვაჭრობის მოშლამ, რომელიც დღესაც გრძელდება, მიიყვანა ინგლისი იქამდე, რომ ინგლისის ფლოტის მეტი ნაწილი ამჟამად უმოქმედოდ სდგას ინგლისის ნავთსადგურებში. კიდევ მეტი: იმპერიალისტური ომის განმავლობაში ინგლისის ინდუსტრიამ დაჰკარგა ზოგიერთი კოლონიალური ბაზრები, სადაც ობიექტიური მიზეზების გამო გაჩნდენ ადგილობრივი ფაბრიკა-ქარხნები საფეიქრო და ლითონის მრეწველობის დარგში. ახალშენების ამ ნაწილობრივმა განთავისუფლებამ მეტროპოლიისაგან ლახვარი ჩასცა ინგლისის სახალხო მეურნეობას და გამოიწვია დიდი უმუშევრობა მრეწველობის მთელ რიგ დარგებში. ეს გარემოება აიძულებს ინგლისს არა თუ ეძებოს ახალი ბაზრები საქონლის გასასაღებლად, არამედ აგრეთვე ახალი ბაზრები ნედლი მასალის ხელსაყრელ პირობებში შესაძენად. საბჭოთა კავშირი თავისი დიდი სივრცით და აუარებელი ბუნებრივი სიმდიდრით ყველაზე უფრო შეეფერება ინგლისის ორთავე ამ მოთხოვნილებას, ჩვენი ნედლი მასალის გადამუშავება ინგლისის მრეწველობაში არა თუ სჭრის უმუშევრობის საკითხს ინგლისისათვის, არამედ აგრეთვე წარმოადგენს სერიოზულს სტიმულ ინგლისის სახალხო მეურნეობის საერთო აღორძინებისათვის, ვინაიდან ინგლისი ჩვენში შესყიდულ ნედლ მასალებს დაგვიბრუნებს ფაბრიკატების სახით, რაც საგრძნობ როლს ითამაშებს საბჭოთა კავშირის მეურნეობაში, რომელიც განიცდის გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მანქანების დიდ მოთხოვნილებას. დასასრულ ამხ. ოვანესოვმა იმედი გამოსთქვა რომ ჩვენთვის სესხის მოცემით მოგებული დარჩებიან არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელები, არამედ აგრეთვე ინგლისის მრეწველობაც, ვინაიდან ეკონომიური ურთიერთობა ინგლისთან საშუალებას მისცემს მას დაამუშაოს ჩვენი სიმდიდრეები საკონცესიო ნიადაგზე".

საფრანგეთი და გერმანია შეთანხმდენ

გერმანიასა და საფრანგეთს შორის დაიდება კომერციული ხელშეკრულება

ინგლისი და ამერიკა გარიყულია კონფერენციაზე

დაიწყო მოლაპარაკება გერმანიისათვის სესხის რეალიზაციის შესახებ

კომერციული ხელშეკრულების დადების გამო, საფრანგეთი პირდება გერმანიას რურის ევაკუაციის დაჩქარებას

საფრანგეთ-გერმანიის ხელშეკრულება

ერრიო-კლემანტელის წინადადება

ლონდონი 13 აგვისტო. ერრიომ განუცხადა მარქსსა და შტრეზემანს, რომ საფრანგეთს არ აქვს განზრახული განაგრძოს რურის ოკუპაცია როგორც საფრანგეთის უშიშროების გარანტია, მაგრამ საფრანგეთს სურს მიიღოს განსაზღვრული ეკონომიური უპირატესობანი ევაკუაციისათვის სამაგიეროთ. ასეთ კომპენსაციად ჩაითვლება საფრანგეთსა და გერმანიას შორის დადებული ახალი კომერციული ხელშეკრულება, რომლის ძალით საფრანგეთს ენიჭება „უპირატესობის მქონე სახელმწიფოს" უფლებები. ფაქტიურად ეს ნიშნავს საფრანგეთ-გერმანიის ეკონომიურ ხელშეკრულების დადებას. ეს ხელშეკრულება ევროპის კონტინენტიდან განდევნის ინგლისს და ამერიკას. ეს ხელშეკრულება დადებული იქნება ახალ კონფერენციაზე პარიზში ან ბერლინში.

გერმანიის მთავრობა დასთანხმდა

ნაუენი. 13 აგვისტო. გერმანიის მთავრობა დაეთანხმა ერრიო-კლემანტელის წინადადებას მიიღოს მონაწილეობა 1 ოქტომბრის კონფერენციაზე პარიზში საფრანგეთის მთავრობასთან კომერციულ ხელშეკრულების დასადებად. ამ ხელშეკრულებით, 1925. წლის 10 იანვრიდან საფრანგეთ-გერმანიის შორის განახლებული იქნება სავაჭრო ურთიერთობა. მაგრამ გერმანიის მთავრობას მაინც არ შეუძლია დაეთანხმოს საფრანგეთის თვალსაზრისს, რომელიც მოითხოვს საბაჟო გადასახადების გაუქმების განგრძობას ელზას-ლოტარინგიისათვის.

ელზას-ლოტარინგის მადანი რურის ნახშირის ნაცვლად.

„კოტიდიენის" ცნობით, საფრანგეთ-გერმანიის კომერციული ხელშეკრულება, რომელიც შტრეზემანს წარუდგინეს ერრიომ და კლემანტელმა, უნდა იქნას დამყარებული „უდიდეს უპირატესობის" პრინციპზე მომავალი ხელშეკრულების მთავარ დებულებას შეადგენს აღმოსავლეთ საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას შორის ნორმალურ ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენა. როგორც „კოტიდიენი" იუწყება, შტრეზემანმა მიიღო საფრანგეთის წინადადება ზოგიერთ დეტალების გარდა.

გაზეთების ცნობით, საფრანგეთის წინადადებაში ხელშეკრულების დადების შესახებ, გათვალისწინებულია ლოტარინგიის მადანის გაცვლა რურის ნახშირზე.

საფრანგეთის თვალსაზრისი

მხოლოდ ერთი წლის შემდეგ.

ნაუენი. 13 აგვისტო. გაზ. „კოტიდიენის" ცნობით, საფრანგეთის მთავრობა ფიქრობს, რომ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შესაძლებელი გახდება გამორკვევა იმისა, რამდენადაა შესრულებული გერმანიის მიერ ექსპერტთა გეგმა. აქედან, საფრანგეთის მთავრობის აზრით, ლოღიკურად გამომდინარეობს, რომ რურის ევაკუაციაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა გეგმის განხორციელების დადებითი შედეგების გამორკვევა შესაძლებელი იქნება ერთ წელიწადზე უფრო ადრე, მაშინ ევაკუაციაც უფრო ადრე დაიწყება.

დელეგაციის მეთაურთა თათბირი.

რომი. 13 აგვისტო. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, გუშინ გაიმართა ექვს დელეგაციის მეთაურთა თათბირი, რომელზედაც ერრიომ განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობამ გამოიტანა გადაწყვეტილება რურის ევაკუაციის და გერმანიის განიარაღების შესახებ. უკანასკნელი საკითხი, საფრანგეთის მთავრობის აზრით, უნდა გადაეცეს გადასაჭრელად ლონდონის კონფერენციას. როგორც ერრიომ განაცხადა, საფრანგეთის კაბინეტის ეს გადაწყვეტილება დაკავშირებულია პარიზში გამომუშავებულ პროექტთან, რომლის თანახმად კანტროლი გერმანიის შეიარაღებულ ძალებზე უნდა მიენდოს ერთა ლიგას.

ჯილდო რურის ევაკუაციისათვის

მოლაპარაკება ევაკუაციის შესახებ

ნაუენი. 13 აგვისტო. გრძელდება მოლაპარაკება რურის სამხედრო ევაკუაციის შესახებ. საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა კლემანტელმა გადასცა შტრეზემანს მემორანდუმი, რომელშიაც აღნუსხულია ეკონომიური უპირატესობანი, რასაც საფრანგეთი მოითხოვს რურის ევაკუაციის დაჩქარებისათვის. საფრანგეთის მემორანდუმში გათვალისწინებულია, უმთავრესად, ექსპორტ-იმპორტის პირობების გაადვილება ელზას-ლოტარინგიის მსხვილ მრეწველთათვის.

ლონდონი. 13 აგვისტო. გუშინდელი დღის განმავლობაში საფრანგეთის და გერმანიის დელეგაციებს შორის სწარმოებდა მოლაპარაკება ევაკუაციის საკითხის შესახებ. ჯერჯერობით ვერავითარ გარკვეულ შედეგს ვერ მიაღწიეს.

სესხი გერმანიისათვის

სესხის რეალიზაციისათვის.

ნაუენი. 13 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფის" ცნობით, ლონდონის ბანკირთა წრეებში სწარმოებს აზრთა გაცვლა-გამოცვლა გერმანიისათვის მისაცემ სესხის გამოშვების შესახებ. გამოსაშვები კურსი უდრის დაახლოვებით 93 პროც. სესხის პროცენტი—7.ს.

ჰანოვერი. 13 აგვისტო. ბერლინის გაზეთების ცნობით, გერმანიის ფინანსთა მინისტრი დარჩება ლონდონში კონფერენციის დამთავრების შემდეგ ბანკირებთან უშუალო მოლაპარაკების საწარმოებლად.

800 მილ. მარკ. სესხის განაწილების შესახებ.

კონფერენციის პლენუმი

მაკდონალდი კმაყოფილია.

ლონდონი, 13 აგვისტო. გუშინ საღამოს მაკდონალდის თავმჯდომარეობით და მოკავშირეთა და ამერიკელ დელეგაციების მონაწილეობით შესდგა კონფერენციის პლენარული სხდომა. მაკდონალდმა აღნიშნა სხვადასხვა კომისიების მიერ მიღწეული წარმატებანი. მაკდონალდის ცნობით, ორი-სამი მუხლის გამოკლებით, გადაწყვეტილება გამოტანილია ყველა საკითხებში. უკანასკნელ პლენარულ სხდომის მოწვევამდე საჭირო იქნება მოკავშირეთა დელეგაციებს კიდევ ერთი სხდომა. შემდეგი პლენარული სხდომაზე დასრულდება კონფერენციის მთელი მუშაობა.

კონფერენციის პლენუმის სხდომაზე განხილული იყო კომისიების მოხსენებანი. კონფერენციამ მოიწონა ყველა ის ცვლილებანი, რომელიც მოხდა კომისიების მუშაობაში გერმანიის დელეგაციის მონაწილეობის შემდეგ.

საფინანსო კონფერენცია

ამერიკა კონფერენციაზე.

ლონდონი, 13 აგვისტო. 14-თა საბჭოს გუშინდელ სხდომაზე იმ საკითხის განხილვის დროს, რომელიც შეეხებოდა საფინანსო ექსპერტთა კონფერენციის მოწვევას პარიზში, მოკავშირეთა დელეგაციების წარმომადგენლებმა გამოსთქვეს აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს ამერიკა არ იყოს დაინტერესებული ამ საკითხით, მაგრამ საბჭოს სხდომაზე მყოფმა კელლოგმა და ლოგანმა გადაჭრით განაცხადეს, რომ ამერიკას განზრახული აქვს გაგზავნოს კონფერენციაზე თავისი წარმომადგენელი, რომელიც დაიცავს ამერიკის პრეტენზიებს; ეს პრეტენზიები შეეხება ამერიკის არმიის შესანახავ ხარჯების დაფარვას და იმ ზარალს, რომელიც გამოწვეულია გემ „ლუზიტანიას" დაღუპვით.

რურის ევაკუაციის გარშემო

საფრანგეთის აზრი.

პარიზი, 11 აგვისტო. საფრანგეთის ოპოზიციონური პრესა აღნიშნავს, რომ რურის ევაკუაციის საკითხმა მთავრობის წევრთა შორის სერიოზული უთანხმოება გამოიწვია. ის ფაქტი, რომ ერრიომ არა ერთხელ მიმართა ცნობებისათვის მარშალ ფოშს, მოწმობს იმ მღელვარებას, რომელმაც მოიცვა მთავრობის უმრავლესობა ერრიოს განცხადების შემდეგ რურის მოკლე ვადაში დაცლის აუცილებლობის შესახებ.

დუმერგიც არ ფარავდა მღელვარებას, მაგრამ შემდეგ ის დამშვიდებულ იქნა ფოშის განცხადებით, რომ საფრანგეთს არ მოელის არავითარი საფრთხე. ნოლლე დაჟინებით ეწინააღმდეგებოდა ერრიოს და წინადადებას შეურიგდა მხოლოდ იმის შემდეგ, როცა სხვა მინისტრებმა მხარი დაუჭირეს პრემიერს.

პრესა ეხება ერრიოსათვის ფოშის მიერ უეცრად მხარის დაჭერას და სვამს კითხვას—ხომ არ მოქმედებდა ფოში ვისიმე გავლენით, როცა ეწინააღმდეგებოდა ნოლლეს—„კაცს, რომელმაც ყველაზე უკეთესად იცის გერმანიის ნამდვილი მდგომარეობა“. საერთოდ კი საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი ოპტიმისტურად არის განწყობილი. ფიქრობენ, რომ ორთავე პალატა დაამტკიცებს შეთანხმებას, ვინაიდან მთავრობას ჰყავს უმრავლესობა.

14-თა საბჭოში

საკითხი რურის შესახებ.

ლონდონი. 13 აგვისტო. 14-თა საბჭოს გუშინდელ სხდომაზე აღძრული იქნა საკითხი რურის შესახებ, მაგრამ გერმანიის და საფრანგეთის დელეგატებმა განაცხადეს, რომ ეს საკითხი არ ეხება საბჭოს და უნდა გადაიჭრას უშუალოთ დელეგატების მიერ. ორივე დელეგაციამ აღუთქვა საბჭოს, რომ აცნობებენ მას იმის შესახებ, თუ როგორი გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი ამ საკითხის გამო.

ამერიკა კონფერენციაზე.

ჟანევერი. 13 აგვისტო. 14-თა საბჭომ ერთხმად დაადგინა, რომ შეერთებულ შტატების წარმომადგენელი უნდა იქნას ჩაბმული სარეპარაციო კომისიის მუშაობაში ყველა იმ საკითხების გადაჭრის დროს, რომელიც დაკავშირებულია ექსპერტთა გეგმასთან.

გერმანიის განიარაღება

ლონდონი. 11 აგვისტო. საფრანგეთის წინადადებამ, რომელიც აღიარებს რურის დაცლას ერთი წლის განმავლობაში, საუცხოო შთაბეჭდილება იქონია კონფერენციის წრეებში. საფრანგეთის წრეებში ფიქრობენ, რომ გერმანიის მთავრობა დიდათ ხელს არ შეუშლის ამ წინადადების განხორციელებას, რომელიც შეიცავს აგრეთვე საფრანგეთ-გერმანიის ხელშეკრულების დადებას. ერრიომ აცნობა მაკდონალდს, რომ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს გერმანიის განიარაღების საკითხს და მოითხოვა აზრთა გაცვლა-გამოცვლა გერმანიის დელეგაციასთან გერმანიაში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიების მუშაობის დაუყოვნებლივ განახლების გაადვილების მიზნით. რეიტერის ცნობით, მაკდონალდმა მიიღო ეს წინადადება.

ერრიოს პოზიცია მოიწონეს

ლონდონი. 11 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური თანამშრომელი იუწყება, რომ საფრანგეთის კაბინეტმა სავსებით მოიწონა ერრიოს პოზიცია, რომლის თანახმად რურის ევაკუაციის საკითხი უნდა იქნას განხილული არა სამხედრო, არამედ ეკონომიური თვალსაზრისით, ერრიომ ასიამოვნა თავის კაბინეტს აგრეთვე განცხადებით იმის შესახებ, რომ მაკდონალდის დაპირებით, ექსპერტები გადასინჯავენ მოკავშირეთა ვალების საკითხს, რის შემდეგ მოწვეული იქნება მოკავშირეთა კონფერენცია ამ საკითხის გადასაჭრელად. გაზეთი შემდეგ იუწყება, რომ გერმანიის დელეგაცია ცდილობს მიაღწიოს დათმობას რკინის გზების საკითხში. ფიქრობენ, რომ წინადადება მიღებული იქნება, თუ გერმანიის მთავრობა რეინის მარცხენა ნაპირის რკინის გზებთან დასდებს ხელშეკრულებას, რომლის თანახმად უკანასკნელები უარს იტყვიან გაფიცვებზე.

პრესა კონფერენციის შესახებ

გერმანიის პრესის ოპტიმიზმი

ბერლინი 11 აგვისტო. გერმანიის ბურჟუაზიული პრესა ოპტიმისტურად აფასებს მდგომარეობას ლონდონის კონფერენციაზე და ფიქრობს, რომ ჩქარა იქნება მიღწეული შეთანხმება. პრესა ეხლა გაცილებით უფრო ნაკლებად ილაშქრებს იმ დათმობების წინააღმდეგ რომელიც მოხდა საგარეო ხელშეკრულების და რურის ერთი კვირით უფრო ადრე დაცლის საკითხებში. შტრეზემანის ორგანო „ცეიტი“ ხაზს უსვამს გერმანიის წრეების უკმაყოფილებას და აღნიშნავს, რომ ფრანგები, ბოლოს და ბოლოს, მზად არიან ხელი აიღონ პუანკარეს პოლიტიკაზე და მოიწონონ ერრიოს რეალური პოლიტიკა.

ლონდონის პრესა კმაყოფილია

ნაუენი. 13 აგვისტო. ლონდონის პრესა ოპტიმისტურად უცქერის კონფერენციის მუშაობას. კონფერენცია დასრულდება ხუთშაბათს. გაზეთების აზრით, რურის ევაკუაციის შემდეგ არსებითად გამოიცვლება საფრანგეთის პოლიტიკა. „ვესტმინსტერ გაზეტტი“ აცხადებს, რომ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს რურის ევაკუაცია, გერმანიის ხალხს უნდა მიეცეს საშუალება აწარმოვოს მუშაობა ექსპერტთა გეგმის სისრულეში მოსაყვანად.

ჩვენ და უცხოეთი

ამერიკა

ამერიკა არ სცნობს ბესარაბიის ანექსიას.

ბუქარესტი, 12 აგვისტო. ნიუ-იორკიდან დაბრუნდა რუმინეთის საზღვაო ძალების სარდალი ადმირალი იმრესკუ, რომელმაც განაცხადა, **რომ ამერიკა არ სცნობს ბესარაბიის ანექსიას, რის გამოც ბესარაბიელი ემიგრანტები ითვლებიან არა რუმინეთის, არამედ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებათ.**

ამერიკა ბესარაბიას საბჭოთა კავშირის ნაწილად სთვლის.

ვენა, 11 აგვისტო. ნიუ-იორკიდან ბუქარესტში დაბრუნებულმა საზღვაო ძალების ყოფილმა უფროსმა რუმინეთში პრიშესკუმ განაცხადა, რომ ამერიკა რუმინეთის მიმართ არ არის მეგობრულად განწყობილი რამოდენიმეთ რუმინელი ემიგრაციის გავლენით უმთავრესად კი რუმინეთის ეკონომიური პოლიტიკის გამო, რომელიც ზღუდავს ამერიკული კაპიტალის უფლებებს. **ამერიკა არ სცნობს ბესარაბიის ანექსიას. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ბესარაბიის მკვიდრნი, რომელიც ამერიკაში იმყოფებიან ემიგრანტებად, შეყვანილი არიან არა რუმინეთის, არამედ საბჭოთა ნორმაში'**

შვეცია

საჩივარი ერიკსონზე

სტოკჰოლმი. 9 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ სტოკჰოლმში წარუდგინა საჩივარი ერიკსონის ცნობილ სატელეფონო ფირმას, რომელმაც შვეციის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლის დროს მოტყუილებით მიითვისა სტოკჰოლმში სახლი, რომელიც ეკუთვნის საბჭოთა კავშირს.

რუმინეთი

რუმინეთის მადა.

ვენა, 11 აგვისტო. რუმინეთის მთავრობის წერილობითი განკარგულების თანახმად რუმინეთის წარმომადგენელმა ლონდონში ტიტულესკუმ ლონდონის კონფერენციას გადასცა მემორანდუმი, სადაც რუმინეთი მოითხოვს ომის დროს განადგურებულ ნავთის წყაროების ანაზღაურებას დოუესის გეგმის ფარგლებში. მემორანდუმი მოითხოვს აგრეთვე საბჭოთა კავშირში დარჩენილ რუმინეთის კუთვნილ ოქროს მარაგს, რომლის დაცვის გარანტიები თითქოს მიელოს რუმინეთის მთავრობას საბჭოთა რუსეთში დარჩენილ მოკავშირეთა დიპლომატიური წარმომადგენლებისაგან. უნგრელთა უმცირესობის ორგანო „კოლეტი უიშაგ“ დიპლომატიური წყაროებიდან იუწყება, რომ ტიტულესკუმ გადასდგა ნაბიჯი, რათა ინგლისის ბანკმა საბჭოთა კავშირს არ დაუბრუნოს 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

რუმინეთის პოლიტიკურ წრეებში ორივე ამ მოთხოვნილების შესახებ პესიმისტური შეხედულება არსებობს.

მექსიკა

ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლობა მექსიკაში.

მოსკოვი, 12 აგვისტო. საბჭოთა კავშირის და მექსიკის მთავრობებმა იმ მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც სწარმოებდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის და მექსიკის საელჩოს შორის ბერლინში, **დაადგინეს დაამყარონ ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა და ამ მიზნით გაგზავნონ ორივე ქვეყანაში თავიანთი წარმომადგენლები. ჩვენი ელჩის გამგზავრება მექსიკაში და მექსიკის წარმომადგენლის ჩამოსვლა მოსკოვში მოხდება ახლო მომავალში.**

რა ხდება ბულგარეთში

სამხრეთ-სლავიის მუქარა.

ვენა, 11 აგვისტო. სამხრეთ-სლავიის მინისტრთა საბჭომ სამხრეთ სლავიის და ალბანეთის მდგომარეობის განხილვის დროს, აღნიშნა, რომ **ცანკოვს მოელის სერიოზული საფრთხე, თითქოს ბულგარეთში არსებული მაკედონელთა ორგანიზაციები ამზადებენ თავდასხმას სამხრეთ-სლავიის ტერიტორიაზე.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა მიმართოს ბულგარეთის მთავრობას წინადადებით საზღვარი დაუცვას ამ თავდასხმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში **სამხრეთ-სლავიის მთავრობა იძულებული გახდება მიიღოს სათანადო ენერგიული ზომები.**

ასეთივე ნაბიჯებია გადადგმული ალბანეთის მთავრობის მიმართ, რომელიც, სამხრეთ სლავიის მტკიცებით ხელს უწყობს ალბანელ აჯანყებულებს.

დიპლომატიური დემონსტრაცია

ვენა 11 აგვისტო. ცანკოვის მთავრობის მიერ გამოცხადებულ მოწოდების გამო 3.000 მოხალისეთა შეკრების შესახებ რუმინიის მთავრობამ გადასწყვიტა შეუერთოს თავისი ხმა სამხრეთ-სლავიის პროტესტებს ნა'ითან დადებულ ხელშეკრულების დარღვევის წინააღმდეგ. სამხრეთ-სლავიის მიმართვის საპასუხოთ, რუმინეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ბულგარეთში თუმცა მოსალოდნელია სერიოზული ამბები და ცანკოვის მთავრობას ემუქრება საფრთხე, მაინც ეს გარემოება არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულების დარღვევის საბაბათ.

ვერ შეთანხმდნენ

ვენა. 11 აგვისტო. კომისიამ, რომელიც ამუშავებდა ბულგარეთისა, ოსმალეთისა და საბერძნეთს შორის მდებარე ნეიტრალური ზონის მმართველობის სისტემას, დელეგატების უთანხმოების გამო, ვერ გამონახა საერთო ფორმულა. თვითეულ დელეგაციამ გაუგზავნა თავის მთავრობას დამოუკიდებელი მოხსენება.

პარტიზანული მოძრაობა

ვენა. 11 აგვისტო. **ბულგარეთის პრესა იუწყება პარტიზანულ მოძრაობის გაძლიერების და წითელ დროშიანი და კომუნისტური წარწერებიანი პარტიზანული ჯგუფების მოქმედების შესახებ. სტარია ზაგორის და ფერშეცკის ახლოს კომუნისტური კრების აღმოჩენის დროს მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება პოლიციასთან.**

ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კონგრესი

ბერლინი. 13 აგვისტო. ტრანსპორტის მუშათა კონგრესმა ჰამბურგში ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო რეზოლიუცია, რომელიც **ხაზს უსვამს იმ საშიშროებას მუშათა კლასისათვის, რომელიც დაკავშირებულია დოუესის გეგმის განხორციელებასთან და რომელიც მოითხოვს ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო ფედერაციაში ტრანსპორტის მუშათა ყველა რევოლიუციონურ კავშირების გაერთიანებას. რეზოლიუციას წინააღმდეგ მისცეს ხმა: ესპანეთის, იტალიის და არგენტინის დელეგაციებმა, თავი შეიკავეს ხმის მიცემისაგან საფრანგეთის და ბელგიის დელეგაციებმა.**

გერმანიის ამბები

საპროტესტო დემონსტრაცია

ბერლინი. 11 აგვისტო. ლეიპციგში კომპარტიამ მოაწყო საპროტესტო დემონსტრაცია უზენაესი სახელმწიფო ტრიბუნალის თავმჯდომარის ნიდერის წინააღმდეგ, რომელმაც არა ერთხელ მოაწყო პროვოკაციული გამოსვლა სასამართლოში კომუნისტების წინააღმდეგ. **დემონსტრაციის დროს პოლიციის მიერ მოკლულ იქნა ერთი მუშა.**

ვეიმარის კონსტიტუციის ორი წლის თავზე

ბერლინი. 11 აგვისტო. კონსტიტუციის ორი წლის თავის ორი საზეიმო დღე საერთოდ მშვიდობიანად ჩატარდა. მთავარი დღესასწაულები მოეწყო ბერლინსა, ვეიმარსა და მიუნსტერში. ვეიმარში კონსტიტუციის ავტორმა დემოკრატმა პრეისმა აღნიშნა გერმანიის, როგორც ევროპის მხსნელის როლი ბოლშევიკური სისხლის ღვრისაგან. **ბერლინში პოლიციის ალღუმზე გამოვიდა რესპუბლიკის პრეზიდენტი ებერტი, რომელიც მოუწოდებდა პოლიციელებს სავსებით შეასრულონ თავიანთი ვალი და თავიდან ააშორონ ყოველგვარი თავდასხმა რესპუბლიკასა და კონსტიტუციას.**

სოციალ-დემოკრატიულ კავშირების მიერ მოწყობილ დემონსტრაციაში ლუსტგარტენზე მონაწილეობდა 4000 კაცი,— მათ შორის მესამედი იყვნენ კომუნისტები, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ კომპარტიის დირექტივების თანახმად. კომუნისტები წინაღუდგნენ დღესასწაულის წინასწარ პროგრამით გათვალისწინებულ სოციალ-დემოკრატიული ორატორების გამოსვლას, წაართვეს **სოციალ-დემოკრატებს დროშები, რომელთა ნაცვლად გამოფინეს თავისი, ამასთანავე ზოგ ადგილას საქმე ხელჩართულ შეტაკებამდე მივიდა. შეტაკების შემდეგ დემონსტრანტი-კომუნისტები დაბრუნდნენ ქალაქში შემდეგი ძახილით: „ძირს კონსტიტუცია.“**

პანების სამეფოში

პოლონეთის სოციალისტური პარტიის პროვოკაცია.

ვარშავა. 11 აგვისტო. პოლონეთის სოციალისტური პარტია განაგრძობს აგიტაციას პოლონეთის კომპარტიის წინააღმდეგ. პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ვარშავის კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, **სადაც ურჩევს მუშებს „გაუსწორდნენ“ ცალკე კომუნისტებს.** მოწოდება მოითხოვს მუშა კომუნისტების განდევნას პროფკავშირებიდან და საქარხნო კომიტეტებიდან.

პოლონელ ლეგიონერთა 10 წლის თავი.

ვარშავა. 11 აგვისტო. პოლონეთის ლეგიონერების წარმოშობის ათი წლის თავზე ლიუბლინში გაიმართა ლეგიონერთა საზეიმო ყრილობა, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა პილსუდსკიმ.

პოლ. სოციალისტურმა პარტიამ ვერ მოახერხა გაფიცვის ჩაშლა.

ვარშავა. 11 აგვისტო. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცდა ჩაეშალა გაფიცვა ზემო სილეზიაში მარცხით დამთავრდა. **საქარხნო კომიტეტების ყრილობებზე ხმის უმრავლესობით გადაწყვიტეს განაგრძონ გაფიცვა.** რეზოლიუციას, 15 კაცის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა 135 დელეგატებმა. დამოუკიდებელი პროფკავშირების ყრილობამ რეზოლიუცია გაფიცვის გაგრძელების შესახებ მიიღო ერთხმად. ყრილობაზე მუშები სასტიკად აკრიტიკებდენ საგაფიცვო კომიტეტს. შრომის მინისტრი დაროვსკი წავიდა ზემო სილეზიაში გაფიცულებთან მოლაპარაკების საწარმოებლად.

შეუთანხმებელთა ახალი პარტია.

ვარშავა. 11 აგვისტო. უკრაინული სოციალ - დემოკრატიული პარტიის ცალკე წევრებს, რომელთაც დასტოვეს პარტია, განზრახვა აქვთ დაარსონ შეუთანხმებელთა ახალი სოციალ-დემოკრატიული პარტია. ახალი პარტიის შექმნის განზრახვას პოლონეთის **ხელისუფალნი** თანაგრძნობით ხვდებიან.

რუმინეთი და ამერიკა

რუმინეთის ნავთს ბოიკოტს უცხადებენ.

ვენა. 11 აგვისტო. რუმინეთის პრესის ცნობებით, რუმინეთის მთავრობამ ვერ მოაგვარა ამერიკასთან კონფლიქტი, რომელიც აღიძრა რუმინეთის მიერ გამოცემული კანონების გამო ნავთის წყაროების შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგება უცხოეთის კაპიტალის ინტერესებს. ამის გამო ამერიკის წარმომადგენელი ბუქარესტში ჯეი თავის თანამშრომლით დიდი ხანია გაემგზავრა სტატს-სეკრეტარ იუზისათვის მოხსენების წარსადგენად. გარ. საქმეთა მინისტრის დუკას ცდამ დაებრუნებინა წარმომადგენლობა ბუქარესტში, ნაყოფი არ მოიტანა.

გაზეთების ცნობებით, ამერიკის ნავთის საზოგადოებას განზრახვა აქვს გააუქმოს განყოფილებები რუმინეთში. ლონდონში დაარსებულმა ნავთის სინდიკატმა, რომელშიაც შედის ბელგიის, პოლონდიის, საფრანგეთის და ამერიკის ნავთის ამხანაგობები, შეაჩერა თავისი მოქმედება.

წით

ნავთი კამჩატ

მოსკოვი. 13 აგვის
აღმოსავლეთის გეოლო
ტის ექსპედიციამ გეოლო
ხელმძღვანელობით აღმო
თიანი ადგილები კამჩატ
თიანი ადგილები მდებარ
ბოგაჩევკის ნაპირზე
ყურეს რაიონში. სინჯათ აღ
ლი ნავთი შეიცავს 75 პრო
და ნავთს მაშინ, როდესაც
ნავთი შეიცავს პროც.
მდებარეობს ვულკანურ ლავე
სქელ ფენას ქვეშ. ასე პირ
ნავთი ძალიან იშვიათ
ნავთიანი რაიონის მდებარეობა ზ
ნაპირთან ახლოს აადვილებს ნავთ
დამუშავების და გატანის საქმეს.

ბრძოლა ტუბერკულიოზის წინააღმდეგ

მოსკოვი. 11 აგვისტო. 1 აგვისტოს იხსნება ტუბერკულიოზთან ბრძოლის სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის ყველა მეცნიერო ძალები. გაეგზავნა აგრეთვე მოპატიჟება საფრანგეთის, გერმანიის და ინგლისის მთელ რიგ მეცნიერებს. ყრილობა განიხილავს საკითხს ტუბერკულიოზით დაავადებულთათვის დაწესებულებების გახსნის შესახებ, ტუბერკულიოზის პროფილაქტიკის და მთელ რიგ მეცნიერულ საკითხებს. ცალკე გამოყოფილი იქნება საკითხი ბავშვთა ტუბერკულიოზის შესახებ.

ლონდონიდან მოსკოვში ჰაეროპლანით.

მოსკოვი, 11 აგვისტო. 9 აგვისტოს საღამოს 8 საათზე თვითმფრინავით ჩამოვიდა მოსკოვში ინგლისის მუშათა პარტიის და ინგლისის პარლამენტის წევრი არაბელა სიუზანნა ლაურენსი.

პირველი საფეხურის კოოპერაციისათვის კრედიტების მიცემა.

როსტოვი, 11 აგვისტო. საოლქო ალმასკომმა მოიწონა პირველი საფეხურის კოოპერატივებისათვის კრედიტების მიცემა. საბანკო თათბირს მიენდო შეიმუშაოს პირველი საფეხურის კოოპერაციისათვის კრედიტების მიცემის გეგმა. კრედიტები მიეცემათ განსაკუთრებით მოუსავლიან ადგილების კოოპერატივებს.

უკრაი
სასოფლო-სამეურნეო იარაღების ქარხანაში მოწყობილია პირველი
მექანიზებული ღუმელი. ღუმ
მოწყობილობა საშუალებას იძ
გამოყენებულ იქნას დღემდის
გისი ნახშირ და გარდა ამისა
ვევს სათბობ მასალის ეკონო
30 პროც.

გრიგალმა წალეკა.

ოდესა, აგვისტო. ზახარო
რაიონზე გადარა გრიგალმა
ერი წვიმითაინგრა ბევრი შენ
დაბლობ ადგილზე მდებარე
ლები დაფარულია წყალით, რომლ
სიღრმე 2 არშ უდრის. ნიაღვარ
წალეკა მოუწი 3ერი და ბაღჩ
დაიღუპა მრავი წვრილ-ფეხა
ქონელი.

ლერა.

როსტოვი, 1 აგვისტო. უკან
სკნელ 3 დღის განმავლობაში ჩაწ
რილია ხოლერ 3 შემთხვევა.

მუშების დახმარება მოუსავლო ბისაგან დაზარალებულ გლეხობა

ცარიცინი, აგვისტო. საგუბ
ნიო პროფკავშირი საბჭო აწყო
ორკვირეულს გვისაგან დაზა
ლებულ გლეხობისთვის დახმარე
ფონდის შესაქმნელად. ქარხნებ
მუშები მხურვალ თანაგრძნობ
ხვდებიან მოხსენებს დახმარე
შესახებ. გამოაქ რეზოლიუც
უქმე დღეებში მუშების და ხელფ
სიდან პროცენტ გადარიცხ
შესახებ გვალვისაგ დაზარალებულ
თა ფონდის გასაძლიერებლად.

ინგლისელი ჟურნალისტი-ქალი უ რაინის შესახებ

კიევი. 13 აგვისტო. ჩამოვიდა ინგლისელი ჟურნალისტი ქალი კლერ შერიდანი (ჩერჩილის და), რომელიც მოტოციკლით მოგზაურობს ინგლისიდან უკრაინამდე. შერიდანი „პროლეტარსკია პრავდას“ ფურცლებზე უზიარებს მკითხველს მიღებულ შთაბეჭდილებას საბჭოთა კავშირის შესახებ.

„ვარშავაში ყოფნის დროს, სწერს შერიდანი, მე მაშინებდენ და უნდოდათ, რომ არ გამოვმგზავრებულიყავი საბჭოთა კავშირში, მაგრამ ის შთაბეჭდილება, რომელიც მე მივიღე უკრაინაში მოგზაურობიდან, ამტკიცებს, რომ უკრაინა თავისი მდგომარეობით გაცილებით [illegible] პოლონეთზე. უკრაინის ბევრ სოფლებში გაყვანილია ელექტრონის განათება, რაც პოლონეთის ზოგიერთ ქალაქებშიაც [illegible]. რამდენადაც დიდი არ უნდა [illegible] საბჭოთა კავშირის [illegible] ლენი, აშკარად ემჩნევა, რომ [illegible] აქვს დროებითი ხასიათ მომავალში მოსალოდნელია დიდი [illegible] კერძოდ კიევი წარმოადგენს [illegible] ნორმალურ და საქმიან ცხრს, ვიდრე ევროპის ბევრი დიდი ქალაქი აქ ვხედავთ მშრომელი ხალხს [illegible] დობიან და გევმაშეწონი [illegible] ობის ნაყოფს“.

თანამედროვე მენშევიზმის ტაქტიკა და ჩვენი ამოცანები

(თეზისები)

ევროპაში და ამერიკაში—აუცილებელია ეხლა იმის სისწორით ცოდნა, თუ რა არის მენშევიზმი, ვინაიდან ეს არის დამახასიათებელი ცნება ყველა თითქოს სოციალისტურ სოციალ-დემოკრატიულ და ამ გვარ მიმართულებათათვის, რომლებიც მტრულად არიან განწყობილნი ბოლშევიზმისადმი.

ლენინი.

1. „მეორე ინტერნაციონალის პარტიები წარმოადგენენ ბურჟუაზიის მესამე პარტიებს“, ასე ახასიათებს მენშევიზმის რაობას მისი ლოღიკური განვითარების ეხლანდელ სტადიაში ამხ. ზინოვიევი (იხ. მისი სიტყვა კომინტერნის მეხუთე კონგრესზე)- მენშევიზმის ისტორიული განვითარების ანალიზი, თანამედროვე მენშევიზმის ტაქტიკის წინასწარ პირობების გამორკვევა, მისი კლასობრივი ფესვების გაშიშვლება და იმის გამომჟღავნება, რომ ევროპის მუშათა მასები ნელა, თანდათანობით თავს აღწევენ ამ მენშევიკურ, არსებითად რეაქციონურ ილიუზიებს და ამასთან დაკავშირებით ჩვენი პარტიის ამოცანების გამორკვევა—არის დღევანდელი დღის ამოცანა.

2. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში კაპიტალიზმი შედის თავისი განვითარების საუკეთესო ფაზაში.

საწარმოო ძალები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ჰქონია მწვავე კონფლიქტი არსებულ საწარმოო ურთიერთობასთან კაპიტალისტურ საზოგადოებაში, განაგრძობდენ განვითარებას, იწვევდენ რა მეურნეობის საერთო ზრდას. კაპიტალისტური სისტემის შინაგანი წინააღმდეგობანი იფარებოდენ საგარეო კეთილდღეობით და ხელფასით უფრო უზრუნველყოფილი მუშების ნაწილი გადადის კაპიტალთან შრომის მშვიდობიანი თანამშრომლობის პოზიციაზე.

3. მარქსის მიმდევართა ზოგიერთ ნაწ[illegible] შორის იწყება მოძრაობა მარ[illegible]ს მოძღვრების მთავარ ელემ[illegible]ბის გადასინჯვის, მარქსიზმის გა[illegible]ახინჯების და კაპიტალისტური სისტემის დაცემასთან შეგუების სასარგებლოდ. მეორე ინტერნაციონალის „ორტოდოქსალური“ ბელადები იმის მაგიერ, რომ მოსპონ ამ გადაგვარებულ ოპორტიუნისტულ ელემენტების ჯგუფი, ფაქტიურად მეორე ინტერნაციონალის პარტიების რიგებში „ერთიანობის“ დაცვის მიზნით აწარმოებენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც გამოხატავს რეფორმისტების აზრებს და შეხედულებებს. ედ. ბერნშტეინი, დავიდი, ზინგერი, ვანდერველდე—ბურჟუაზიის ტიპიური აგენტები მუშათა კლასში ფაქტიურად ხელმძღვანელობენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობას, სარგებლობენ რა მეორე ინტერნაციონალის აპარატით და გავლენით.

4. მეორე ინტერნაციონალი პროლეტარული რევოლიუციისათვის და კაპიტალის დამხობისათვის ბრძოლის იარაღიდან იქცა მასების მოტყუილების, პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების დაბნელების, საზოგადოების მშვიდობიანი გზით გარდაქმნის ქადაგების იარაღად. მთელი ეს გამცემლობა იფარება არქირევოლიუციონურ ფრაზებით სოციალიზმის, დემოკრატიის და სხვ. შესახებ. ასე ეწყობიან რიგები საერთაშორისო მენშევიზმისა, რომლის პოლიტიკის ცენტრი გადადის პროლეტარიატიდან წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიის მთელ მასაზე, განიცდის რა მერყეობას და გამოხატავს ამ მასის განწყობილებებს და ზრახვებს.

5. ცხადია, ცალკე ქვეყნებში მენშევიზმის წარმოშობის და განვითარების ეს საერთო მიზეზები რთულდებიან ამა თუ იმ ქვეყნის სპეციფიურ, სოციალურ-ეკონომიურ პირობების ზოგიერთ მომენტებით, მაგრამ მენშევიზმის საერთო ტაქტიკა, მეთოდები და სტილი მუშაობაში იგივე რჩება, რაც ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ შეამოწმა ისტორიამ რუსეთის და განსაკუთრებით საქართველოს მენშევიზმის მაგალითით.

6. რუსეთი დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას მხოლოდ მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში, ე. ი. მაშინ, როდესაც ევროპა განიცდიდა კაპიტალიზმის აყვავების პერიოდს; ამიტომ მუშათა კლასის მოწინავე ჯგუფები, ბურჟუაზიასთან საბრძოლველად თავისი რიგების შემჭიდროებასთან ერთად, იძულებული იყვნენ ემტკიცებიათ, რომ რუსეთში არსებობს კაპიტალისტური განვითარების ელემენტები და ნიადაგი გამოეცალათ ფეხთ ქვეშ ეგრედ წოდებულ ნაროდნიკულ სოციალიზმისათვის, წვრილ ბურჟუაზიულ მიმართულებისათვის, რომელიც იბრძოდა საზოგადოებრივ ურთიერთობის, ფეოდალიზმის და ბატონ-ყმობის წინად არსებულ ფორმების დასაბრუნებლად და მიტომ უარყოფდა კაპიტალისტური ხანის აუცილებლობას რუსეთისათვის. ბურჟუაზიული ინტელიგენციის მოწინავე ელემენტები შეიჭრენ მუშათა მასებში, ისინი სარგებლობენ მარქსიზმით, როგორც ბრძოლის იარაღით რუსეთში კაპიტალიზმის სრული გამარჯვებისათვის და მუშათა მოძრაობის ბურჟუაზიასთან „ნორმალური“ თანამშრომლობის კალაპოტში ჩასაყენებლად.

სტრუვე, ტუგან-ბარანოვსკი, პროკოპოვიჩი, კუსკოვა და სხვ. იყვნენ ტიპიური რევიზიონისტები რუსეთის პირობებში; მათი ფიზიონომია დღეს საკმაოდ ნათელია ყოველი მუშისათვის. ბურჟუაზიული ინტელიგენციის მეორე ნაწილი კი, რომელიც პირველად სუბიექტიურად ერთგული იყო მუშათა კლასის ინტერესებისა, ობიექტიურად გამოხატავდა წვრილ ბურჟუაზიის გავლენას მუშათა კლასზე (მარტოვი, აქსელროდი, მარტინოვი და სხვ.) რაც აშკარად გამომდინარეობს ამ მიმდინარეობის განვითარების ლოღიკურ ხაზიდან რუსეთის სოციალ - დემოკრატიაში (ეკონომიზმი ლეგალური მარქსიზმი, მენშევიზმ- ლიკვიდატორობა,—„ობორონჩესტვო“ — ბურჟუაზიის ბანაკი პროლეტარიატის და მისი რევოლიუციის წინააღმდეგ).

7. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მთელი ისტორია არის ბოლშევიზმის და მენშევიზმის ბრძოლის ისტორია; ამ ბრძოლის მიზეზების და მსვლელობის ანალიზი აშკარად ამტკიცებს, რომ ეს იყო პროლეტარულ იდეოლოგიის ბრძოლა წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიის წინააღმდეგ.

მაშინ, როდესაც ბოლშევიზმი წარმოადგენს პროლეტარიატის მოწინავე და დარაზმულ ნაწილს და სცდილობს გაიყოლიოს ფართო მასები, აიყვანოს ისინი პროლეტარიატის მოწინავე რაზმის დონეზე, წაიყვანოს მშრომელთა ფართო მასები ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, მენშევიზმი უკან ახევინებს პროლეტარიატს და მოუწოდებს მას გაჰყვეს პროლეტარიატის ჩამორჩენილ ფენებს და მხარი დაუჭიროს ლიბერალურ ბურჟუაზიას; აქედან, ორგანიზაციული ოპორტიუნიზმი, რომელიც გამოიხატა ორ ცნებათა შერევაში; პარტია და კლასი და მათი ერთმანეთზე გავლენა, რაც სავსებით ეთანხმებოდა წვრილ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას.

აქედან, რევოლიუციონურ მარქსიზმის დამახინჯება რუსეთის პირველ რევოლიუციის დროს. ლიკვიდატორობა 1905 წ. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ და სრული გადასვლა ბურჟუაზიის ბანაკში 1914--1918 წ. წ. ომის დროს.

აშკარა ღალატი და საზიზღარი გამცემლობა თებერვლის რევოლიუციის დროს და პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება 1917 წლის ოქტომბერში.

8. სოციალ-დემოკრატიის გამცემლობა, რომელიც მომზადდა ისტორიის განვითარების მანძილზე, იქცევა ფაქტად 1914 წ. იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის დასაწყისში.

იმპერიალისტური მონობის ზორკილი იმსხვრევა ყველაზე სუსტ ადგილას—რუსეთში: პროლეტარიატი გლეხობის დახმარებით ამხობს მეფის თვითმპყრობელობას. რუსეთში მენშევიზმის ფაქტიური ბატონობის 8 თვე წარმოადგენდა მთელ ისტორიულ ეპოქას, როდესაც მთელი მსოფლიოს წინაშე პრაქტიკულად ნაცადმა მენშევიკურმა ფრაზეოლოგიამ სავსებით გამოაშკარავა 2 ინტერნაციონალის მატყუარობა და თვალთმაქცობა.

დემოკრატიზმი სიტყვით, საქმით კი ბოლშევიკური პრესის აკრძალვა, მუშათა კრებების და დემონსტრაციების გარეკვა, დაპატიმრება და რეპრესიები მუშათა კლასის წინამძღოლთა მიმართ.

სოციალიზმი სიტყვით, საქმით კი მუშათა გაფიცვების ჩაქრობა, მემამულების წინააღმდეგ გლეხთა აჯანყების ჩაქრობა.

ინტერნაციონალიზმი სიტყვით, საქმით კი ყაჩაღურ ომისათვის ხელის შეწყობა, სიკვდილით დასჯა ჯარისკაცებისათვის, რომელთაც არ სურთ სხვა ეროვნების თავიანთ მოძმე მშრომელთა სისხლის დღვრა.

ასეთია რუსეთში მენშევიზმის 8 თვის ბატონობის სურათი 1917 წ.

9. მენშევიზმი ოქტომბრის შემდეგ წარმოადგენს რუსეთის თეთრგვარდიელების შემადგენელ ნაწილს. მენშევიკების მონაწილეობა „აღორძინების კავშირში“ სამარას „უჩრედილკაში“, მუშათა აჯანყების ჩაქრობაში, პროლეტარიატის წინააღმდეგ თეთრგვარდიელ გენერლებთან საზიზღარი შეთანხმებაში—აი მენშევიზმის ტაქტიკის პირველი ფაზა ოქტომბრის შემდეგ.

ოქტომბერი იმარჯვებს. რევოლიუციის ტალღა გადადის ერთი ქვეყნიდან მეორეში. (საბჭოთა უნგრეთი საბჭოთა ბავარია, აჯანყება იტალიაში, ავსტრიაში და სხვ.). მენშევიზმს ფერი ეცვლება და ქამელეონივით ეგუება მასების სულიერ განწყობილებას და აყენებს საბჭოების ცნობის ლოზუნგს, ჰგმობს ქართული მენშევიზმის ინტერვენციონისტულ პოლიტიკას, ფაქტიურად კი დახმარებას უწევს ინტერვენციას როგორც სიტყვით, ისე საქმით.

ევროპაში რევოლიუცია მარცხდება.

პროლეტარიატი გადაიყვანა ბურჟუაზიამ თავდაცვის მდგომარეობაში—მენშევიზმი იცვლის ფერს, ეძებს ახალ პლატფორმას, ე. ი. ხდება გულწრფელ-რესტავრატორულ, თანდათანობით ანტისაბჭოთა ძალათ.

1920 წ. მარტში რუსეთის მენშევიკების პარტია გამოდის მე-2 ინტერნაციონალიდან.

1921 წ. თებერვალში, იგი 2 ნახ. ინტერნაციონალის დამაარსებელთა შორისაა, ხოლო 1922 წ. მაისის დასაწყისში უბრუნდება მეორე ინტერნაციონალს.

ჯერ კიდევ 1922 წ. დასაწყისში მენშევიკები მხარს უჭერენ ერთიან ფრონტს კომუნისტებთან ამავე წლის დამლევს ერთიანი ფრონტი შეუძლებლადაა აღიარებული.

1909—1920 და 1921 წწ. პერიოდში მენშევიკები აღიარებდენ რუსეთის რევოლიუციას გარდამავალ საფეხურად კაპიტალიზმიდან სოციალიზმში.

ამ ჟამად ისინი ითვლება ტიპიურ ბურჟუაზიულ რევოლიუციათ, რომელშიაც მხოლოდ ერთი „ანომალობაა“: ძალა-უფლება ბურჟუაზიის ხელში არ არის. ერთი სიტყვით თუ გადავფურცლავთ უკანასკნელი 7 წლის ისტორიის ფურცლებს თებერვლის რევოლიუციიდან დღევანდლამდე—მენშევიზმმა რვაჯერ იბრუნა პირი.

განა ნათელი არ არის, რომ მენშევიზმი წვრილ ბურჟუაზიის იდეოლოგიაა, ბურჟუაზიის, რომელიც ქანაობს რევოლიუციასა და კონტრ-რევოლიუციას შორის?

10. მენშევიზმს, წვრილ-ბურჟუაზიული უილაჯობა, განსაკუთრებით მისი ქართული ფრთის, რომელმაც საქართველოში 3 წლის ბატონობის დროს მოგვცა მენშევიკური პოლიტიკის საუკეთესო ნიმუში, სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა, რამდენადაც ფართოვდებოდა რევოლიუციის პერსპექტივები.

ქართველი მენშევიზმის ბელადები, რომლებიც დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მე-2-ე ინტერნაციონალში, წარმოადგენენ წვრილბურჟუაზიულ უილაჯობის საუკეთესო ნიმუშს და რათა აღარავითარი ეჭვი არ შევიტანოთ ქართული მენშევიზმის გამცემლურ წვრილ-ბურჟუაზიულ ფიზიონომიაში, მოვიყვანოთ მისი პოლიტიკის მაგალითებს საქართველოში მისი ბატონობის ხანიდან.

11. პირველყოვლისა დგება საკითხი იმის შესახებ, როგორ წარმოიშვა მენშევიზმის, ფორმალურად მარქსიზმის პარტია საქართველოში—გლეხურ ქვეყანაში, სადაც დიდია ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის პროც.—(20 პროც.) და სადაც არ მოიპოვება ფაბრიკა-ქარხნის პროლეტარიატის საკმაო რაოდენობა. სხვანაირად რომ ვსთქვათ, როგორია ქართველი მენშევიზმის სოციალ-კლასიური საფუძვლები:

აი რას ამბობს ამის შესახებ ამხ. ტროცკი:

„...მრეწველობის უქონლობა მოასწავებდა ეროვნული ბურჟუაზიის არყოფნას. სავაჭრო კაპიტალი იყო უმთავრესად სომხეთის ხელში.—სულიერი კულტურის წარმომადგენლად ითვლებოდა წვრილ მემამულეთა უმთავრესად თავად-აზნაურული ინტელიგენცია. ცხოვრებაში შეჭრილ კაპიტალიზმს ჯერ კიდევ ვერ შეექმნა ახალი კულტურა, მაგრამ იგი აყენებდა ახალ მოთხოვნილებებს, „რომლის დაკმაყოფილება ქართველ თავად-აზნაურობას არ შეეძლო თავისი ვენახებით და ცხვრებით.

უკმაყოფილება რუსეთის მოხელეებით და მეფის რეჟიმით გადაჯაჭვული იყო მტრობასთან კაპიტალიზმის წარმომადგენლის სომეხ ვაჭრის და მოვახშის წინააღმდეგ. ხვალინდელი დღის წინაშე შიშმა და გამოსავლის ძიებამ შეათვისებია თავად-აზნაურულ და წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციის ახალ თაობას დემოკრატიის იდეა და აიძულა იგი ეძია დახმარება მშრომელ მასების მხრივ.

მაგრამ ამ დროისათვის—წარსული საუკუნის დამლევს—პოლიტიკურ დემოკრატიის პროგრამას მის ძველ იაკობინურ ან მანჩესტერულ სახით სახელი გაუტყდა ისტორიულ განვითარების მსვლელობაში და ევროპის ჩაგრულ მასების შეგნებაზე გაბატონდა სხვადასხვაგვარი სოციალისტური თეორიები, რომელიც თავის მხრივ იდევნებოდა მარქსიზმის მიერ. კაპიტალიზმისადმი შუღლით გამსჭვალული ახალგაზრდა თაობა ილტვოდა ლიტერატურულ, პოლიტიკურ და სხვ. მუშაობის ფართო ასპარეზისაკენ. ხელოსნების და მცირერიცხოვან სამრეწველო მუშების პირველი მოძრაობა; დამონებულ გლეხობის ყრუ უკმაყოფილება—ყველაფერმა ამან ჰპოვა თავისი გამოხატულება მარქსიზმის მენშევიკურ გადამახინჯებაში.

წვრილი თავად-აზნაურები შთამომავლობით, წვრილი ბურჟუები ყოფა-ცხოვრებით და ფსიქოლოგიით, ყალბი მარქსისტული პასპორტით ჯიბეში—ასეთი სახით მოჰკიდეს ხელი ქართული მენშევიზმის ბელადებმა რევოლიუციონურ პოლიტიკას“.

12. ქალაქის და სოფლის წვრილმა ბურჟუაზიამ ხელისუფლების სათავეში ჩააყენა მენშევიკები, რომლებიც თავიანთი ბატონობის 3 წლის განმავლობაში გამოხატავდენ წვრილ ბურჟუაზიის მერყეობას და რომელთაც თანდათან გამოეცალათ თავიანთი ბატონობის დასაყრდენი საფუძვლები. პირველ ყოვლისა ჩამოშორდა მათ გლეხობა, რომელსაც მი შევიკური რეფორმა აყენებდა მამულეებისადმი დამოკიდებულ რომლებიც საუკუნოებით ყვ დენ მას.

მენშევიზმმა ჟორდანიის სახი ქანა მიიყვანა სრულ ეკონომიურ ღატაკებამდე, რაც პირველ ყო აზიანო იყო მუშათა კლასისათვის.

მენშევიზმი აღვივებდა ნაციო ლური შუღლის გრძნობას ქვეყან და სამი წლის განმავლობაში ჩა რია ის სამხედრო ავანტიურაში ხეთთან, აზერბეიჯანთან და ოსმა თან.

„ნაციონალური ცრუმორწმუნ ბი და სოციალიზმის ნამტვრევ მარქსი და ვილსონი, რიტორი გატაცებები და წვრილ-ბურჟუაზ შეზღუდულობა, პაფოსი და რობა, ინტერნაციონალი და ლიგა, ცოტა გულწრფელობა, მარლატანობა და ყველაფერ დართული პროვინციალური ქარის თვითკმაყოფილება—აი ამ პებით შეზავებული მიქსტურა კენს ქართული მენშევიზმის (ტროცკი) ქართველი მენშ ალტაცებით მიესალმენ ვილსონის პუნქტს. ისინი ესალმებოდენ ლიგას. წინათ ისინი ესალმებ კაიზერის ჯარების შემოსვლას სა თველოში. შემდეგ ისინი მიესალ ქათ წასვლას. ისინი ესალმებოდ ინგლისის ჯარების შემოსვლას. ალმენ საფრანგეთის ადმირალის კობრულ განცხადებას. თავის ცხადია, რომ მიესალმენ კაუტს ვანდერველდეს, სნოუდენს, და ველთვის მზად იქნებიან მიეს ჭონ კენტერბერის არქიეპისკ პოსს, თუ უკანასკნელი არ დაი რებს რამოდენიმე დამატებითი კლის დახარჯვას ბოლშევიკებ ჭისამართით“. (ტროცკი).

მენშევიზმი იქცა ქალაქის გალატ კებამდე დაღუპვამდე მისული წვრ ლი ბურჟუაზიის: ხელოსნების, მედუ ეების ინტელიგენტების პარტიათ.

13. როგორც რუსეთის, ისე საქარ თველოს თანამედროვე მენშევიზმის მთავარი ამოცანა მდგომარეობს პრო ლეტარიატის ხელისუფლების დამხო ბაში. ამ მხრივ მენშევიზმის ამოცან სავსებით ეთანხმება საერთაშო რისო ბურჟუაზიის გეგმებს. ს ერთაშორისო ბურჟუაზიაც მშვე ნივრად აფასებს მენშევიზმს, რო გორც მეტად სასარგებლო

აჟი—13,000

პურის დამზადების კამპანია

ბრძოლა კერძო ვაჭრობის წინააღმდეგ

12 აგვისტო. საკავშირო
შინა-ვაჭრობის სახალხო
ტის წარმომადგენელმა ამხ.
ემ, რომელიც გამოვიდა
პურის დასამზადებელი
კამპანიის გეგმის შესახებ
, რომ პირველად განზრა-
დახლოებით 800 მი-
ფუთი პურის დამზადება,
მოსავლიანობის გამო და-
პურის რაოდენობა შემ-
ქნა 500 მილიონამდე;
სახელმწიფო და კოოპერა
აპარატები ამზადებენ 380
უთს, ხოლო დანარჩენ რა-
დასამზადებლად განზრა-
კერძო სავაჭრო აპარატის

დამზადებლები გამოვლენ
ულად არა მარტო ცენტრ-
ე აგრეთვე ადგილებზედაც.
ვაჭრობის სახალხო კომისარ-
ლეჟავამ აღნიშნა, რომ შინა-
სახალხო კომისარიატმა
დროს მიიღო მთელი

რიგი ზომებისა, რომლებიც მიმართულია ფასების დაწევისაკენ, ბაზრის გაჯანსაღებისა და ქალაქისა და სოფლის კავშირის ამოცანის სისწორით გადაჭრისაკენ. შეეხო რა კერძო კაპიტალის საკითხს, ამხ. ლეჟავამ აღნიშნა, რომ ადგილებზე ზოგჯერ ტარდებოდა ცენტრთან შეუთანხმებელი ზომები, რამაც მიგვიყვანა საქონლის ბრუნვის შემცირებაზე, ასეთ პოლიტიკას ბოლო უნდა მოეღოს. მოქმედების შემცდარი ზომების წყალობით, კერძო კაპიტალი წავიდა ბაზრიდან და მიიმალა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის აღარ არის. კერძო კაპიტალის სავსებით მზედველობიდან გაშვება დაუშვებელია. ის არის, ის გამოყენებულ უნდა იქნეს სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ სახელმწიფოს ფხიზელი მეთვალყურეობით. თავიანთი აპარატების გაუმჯობესების მიხედვით სახელმწიფო ორგანოები და კოოპერაცია განდევნიან ბაზრიდან კერძო კაპიტალს.

ომის ბირჟების რეორგანიზაცია

მოსკოვის შრომის ბირჟის რეორგანიზაცია

ვი, 12 აგვისტო. მოსკოვის
ბირჟა ატარებს მთელ რიგ
ბებს იმ მიზნით, რათა გა-
ს სამეურნეო ორგანოების,
ლების და უმუშევრების და-
ულება ბირჟასთან. გადასინ-
ანამშრომელთა შტატი; და-
არიან ყველანი, ვინც არ
ს დანიშნულებას და დაინიშ-
მუშები, რომლებიც იცნო-
ს კლიენტების ყოფაცხოვ-

ს პროფკავშირებთან და სა-
გაერთიანებებთან დაკავში-
მიზნით, საცდელად, დაარსე-
5 საწარმოო სექცია საბჭოე-
ოლებშიაც შევიდენ სამეურ-

ნეო გაერთიანების და პროფკავშირის წარმომადგენლები. საბჭოებს ყოველთვის ექნებათ ნათელი წარმოდგენა შრომის მოთხოვნილების და მიწოდების, წარმოების შემცირების და გაფართოების შესახებ, რის გამოც ყოველთვის თავის დროზე იქნება მიღებული სათანადო ზომები. მუშავდება საკითხი კვალიფიციურ მუშა ძალის შერჩევის შესახებ, რაც საშუალებას მისცემს ბირჟას გაგზავნოს სამუშაოზე მართლაც კვალიფიციური მუშები. მუშაობაში ჩაბმულია 6,000 მუშა—პროფკავშირების წევრი.

ამ ჟამად შრომის ბირჟაში ჩაწერილია 119,000 უმუშევარი, (აქედან 40,000 მუშა იღებს დახმარებას.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

ახალ-სენაკი

რის ჭირი. უკანასკნელ ხა-
ზრაში შემცირდა ციმბირის
მთხვევები. 9 აგვისტოს ფო-
ომში, სოფ. სასიმონლოში
გაჩნდა ციმბირის ჭირი. მი-
ზომები საქონლის ასაცრე-
აფერი ვაქცინით; გამოცხა-
კარანტინი.

აზერბეიჯანი.

შა-ქალების კლუბი.

12 აგვისტო. აზერბეიჯანის
ეროდ სცნო ალი-ბაირამო-
ლის მუშა-ქალთა კლუბს
000 მანეთი შენობის შესა-

**ქიმიურ მრეწველობის
ართა საზოგადოებას.**

12 აგვისტო. აზერბეიჯანის
ნადადება მისცა სახ. კომი-
აბჭოს მისცეს სესხად აზერ-
ქიმიურ მრეწვ. მეგობართა
ოების საბჭოს 500 მანეთი,
საორგანიზაციო ხარჯების
ავად.

კალიასთან მებრძოლ მუშაკთა დასაჩუქრება.

ბაქო. 12 აგვისტო. აზერბეიჯანის ცაკმა დაადგინა დაავალოს სახალხო კომისართა საბჭოს დაასაჩუქროს ფულადი პრემიებით კალიასთან მებრძოლი მუშაკები.

კურსების შემოწმება.

ბაქო. 11 აგვისტო, აზერბეიჯანის განათლების სახალხო კომისარი ამიერ-კავკასიის სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველოს უფროსთან ერთად გაემგზავრა შუშის, აგდაშის, განჯის, ნუხის, ზაქათალის მაზრებში და ყარაბახში, სადაც შეამოწმებენ სახალხო მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსების მუშაობას. კურსებზე მეცადინეობა თავდება აგვისტოს დასასრულს.

სკოლების შეკეთება.

ბაქო. 11 აგვისტო. ბაქოს სახალხო განათლების განყოფილებამ გაიღო 5.000 მანეთი ფაბრიკა-ქარხნების რაიონის სკოლების შესაკეთებლად. მუშაობა დამთავრდება 20 აგისტოს.

პარ

საქ. კომ. პარტიის თბილისის კომიტეტი [illegible] ყველა უჯრედებს

ორთიან პარტიულ დღის

დღის წესრიგში დააყენონ საკითხი

„თანამედროვე მენშევიზმის ტაქტიკა".

მოხსენებებისათვის იხელმძღვანელონ ს. კ. პ. თბ. კ-ის სააგიტ.-საპროპაგანდო განყოფილების თეზისებით, რომლებიც გამოქვეყნებულია „კომუნისტ"-ში, „ზარია ვოსტოკა"-ში, „რაბოჩაია პრავდა"-იში და „მართაკოჩ"-ში.

ტ. კ. მდივანი: რუბენი

სუფსა (გურია)

კვირას, 10 აგვისტოს შესდგა თემის პარტიული საზოგადო კრება. განსახილველი საკითხები იყო: 1) პარტიული დისციპლინის და სამხედრო ვარჯიშობა, 2) საგლეხო მომგებიანი სესხის გასაღება და 3) კოოპერატივში წევრების ჩაწერის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. ფასიეშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ საჭიროა უფრო მეტი გაცხოველებული მუშაობა პარტიის წევრთა კულტურულ დონის ასამაღლებლათ და ამასთანავე საჭიროა რათა სამხედრო ვარჯიშობაც სისტემატიურათ სწარმოებდეს. კრებამ მოისმინა რა მოხსენება, ერთხმად დაადგინა გაიმართოს თვეში ორჯერ შაბათობით სამხედრო ვარჯიშობა, რაც სავალდებულოა ყველა წევრებისათვის პარტიული დისციპლინის წესით.

შემდეგ ამხანაგი აკეთებს მოხსენებას საგლეხო მომგებიანი სესხის მნიშვნელობის და მისი გავრცელების შესახებ, კრებამ დაადგინა: მიექცეს დიდი ყურადღება საგლეხო მომგებიან სესხის ობლიგაციების გასაღების საქმეს, პარტიულებისთვის განდევს სავალდებულოთ მისი შეძენა. ამასთანავე ყველა პარტიულს დაევალა აუხსნას ფართე მასსას სესხის ნამდვილი დანიშნულება და მისი მნიშვნელობა.

მესამე საკითხი შეეხებოდა კოოპერატივში ახალი წევრების შეყვანას, და ახალი დამატებითი საწევრო და საპაიოს გადახდის შესახებ; კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რათა პარტიის თვითეული წევრი გახდეს კოოპერატივის სრულუფლებიანი წევრი და აწარმოოს აგიტაცია კოოპერატივში რაც შიძლება მეტი წევრების მისაზიდათ.

ა. თოდრია.

პარტმუშაობა 2 ტერ. ლეგიონში

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენი ლეგიონი დაარსდა. დაარსების პირველ დღეებიდანვე მტკიცეთ ჩამოყალიბდა კომუჯრედი, რომელმაც მუშაობას მისცა სწორი გეზი, რამაც ხელი შეუწყო ყოველგვარ მუშობის წარმატებით წარმოებას.

უჯრედის კრებები სისტემატიურათ იმართება, კეთდება მოხსენებები ამა თუ იმ საკითხებზე.

უჯრედის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ უჯრედში მყოფი წითელარმიელები.

ჩვენი უჯრედის ამგვარი ნაყოფიერი მუშაობა გვაძლევს სრულ გარანტიას იმისას, რომ უჯრედის ირგვლივ ფართოდ დაირაზმება ჩვენს ლეგიონში მყოფი მთელი მშრომელი ახალგაზრდობა.

გან-კონი.

კანალიზაცია განაპირა უბნებში

თბილისის აღმასკომის უახლოეს სამოქმედო გეგმაში წყალსადენის ხაზის გაფართოების გარდა, შედის აგრეთვე თბილისის განაპირა უბნების კანალიზაცია. თბილისის განაპირა უბნები დღემდე ჩავარდნილია საშინელ ანტი-სანიტარულ პირობებში, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის დაავადმყოფებას და სიკვდილის შემთხვევების გახშირებას. აღმასკომის მიზანი იყო ფინანსიურ მოღონიერების პირველ წლებშივე შესდგომოდა ქალაქის ამ დიდი ნაკლის გამოსწორებას. ამიერიდან უკვე ეს საკითხი, რომელიც საკმაოდ შესწავლილია, განყენებული მსჯელობიდან პრაქტიკულ გატარების ფაზაში გადადის. შემუშავებული პროექტით პირველ რიგში განზრახული იყო ლენინის რაიონის კანალიზაცია, რომელიც უკვე დაიწყო მიმდინარე წლის გასულ თვეებში. პირველად პროექტით გათვალისწინებული იყო კანალიზაციის 2 ვერსის სიგრძეზე საერთო ჯამის მიხედვით.

მაგრამ ცემენტის დიდი მარაგი აღმასკომს საშუალებას აძლევს კანალიზაცია უყოს მთელს ლენინის რაიონს,—რასაც საკმაოდ დიდი მუშაობა სჭირდება.

ჯერჯერობით გაყვანილია ქუჩის მაგისტრალი ცემენტ-ბეტონისაგან მთელ საბჭოთა (ყოფილ ჩერქეზიშვილის) ქუჩის სიგრძეზე ხუდადოვის ქუჩამდე.

ამასთანავე კანალიზაცია გაკეთებული აქვს მრავალ საბჭოთა და კერძო მეპატრონეთა სახლებს. ქუჩის მაგისტრალისთვის ცემენტ-ბეტონი მზადდება ადგილობრივ, ხოლო სახლების საკანალიზაციოდ კი სამეურნეო სექციაში.

გარდა საბჭოთა ქუჩისა, დაწყებულია საკანალიზაციო მუშაობა აგრეთვე მაგისტრალის, ბრიგადირის და საბჭოთა ქუჩის სხვა გამყოლ ქუჩებზე.

ქუჩის მაგისტრალების გაყვანა სწარმოებს ქალაქის ხარჯზე, ხოლო სახლების კანალიზაცია კი სახლის პატრონის ხარჯზე, რომელსაც იგი იხდის 10 თვის განმავლობაში დანიშნულ ვადებზე. გაყვანის ფული კერძო მეპატრონეებს გადახდებათ შეძლებისდაგვარად.

მიმდინარე წელს, ყოველგვარ ეჭვს გარეშე, დამთავრებული იქნება ლენინის რაიონის კანალიზაცია, შემდეგ კი დაიწყება დანარჩენი უბნების კანალიზაცია.

მელსაც გავლენა აქვს მუ-
ებში და საუცხოვოდ შეუ-
ამოიყენოს სოციალისტური
ლოგია მუშათა კლასის ჩა-
ლი წრეების მოხერხებულად
ლებისათვის.
ვიზმმა საქმით დაამტკიცა თა-
რთგულება კაპიტალისტური
დაცვის ინტერესებისადმი
სულად ჩაბარა გამოცდები
ლიდან დღემდე, როგორც
ის საუკეთესო და ერთგულმა
ურმა. ბურჟუაზიამ საუ-
დაფასა მენშევიზმის
ლ წარმომადგენლების ეს
ბი ორჯერ კაპიტალიზმისა-
ტიკულ მომენტში, მიიწვია
მოსამსახურეთ თავის მთავ-
მინისტრების სახით.
ვიზმი არის ბურჟუაზიის მე-
არტია"—ეს მართალია არა
მაკდონალდის, ვანდერველ-
ოდენის, სტაუნინგოვის და
მიმართ, ეს გამოთქმა სწო-
ვე რუსეთის და საქართვე-
შევიზმის შესახებ.
ამ წელიწადზე მეტია მას
რაც საქართველო შევი-
ჭოთა რესპუბლიკების ღი-
რის შემადგენლობაში.
თველოს მენშევიზმმა მთელი
ნტერნაციონალის დახმარე-
ძოლა გამოაცხადა პროლეტა-
დიქტატურის წინააღმდეგ
ლო'ი. დემოკრატიის საბო-
სხელგატეხილმა ლოზუნგებმა
ვერ მიიზიდა, შეუძლებელი
სების მოტყუილება ბურჟუა-
რესტავრაციის ამ დახავსე-
რომით. ინტერვენციის პო-
გათავდა კრახით. „წითელ
იზმთან" ბრძოლის ნაციო-
ურმა ლოზუნგმა მიზანს ვერ
, ვინაიდან საქართველოს
ლი მასები პრაქტიკაში რწმუნ-
ენ მენშევიკური პოლიტიკის
ეში და სრულ უსაფუძვლო-
იკური პარტია გაიხრწნა სა-
, მისი წევრები ათასობით
ენ მებრძოლი პროლეტარია-
გებში.
ზმმა ყოველგვარი კავშირი
მშრომელ მასებთან, გარ-
რა ავანტიურისტულ ორგა-
, რომელიც გამოხატავდა
მემამულის, ინტელიგენციის
ისტური ნაწილის, სოფლის

კულაკების და სავაჭრო-სპეკულიატიური ბურჟუაზიის პოლიტიკურ ინტერესებს.

15. ასეთსავე გადაგვარებას განიცდის რუსეთის მენშევიზმიც, რომელიც „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ"-ის ერთ ერთ უკანასკნელ ნომერში აქვეყნებს ახალს (რომელს ანგარიშით?) პლატფორმას, რომელშიაც მოცემულია თანამედროვე მენშევიზმის ტაქტიკის დასაბუთება.

რა წარმოადგენს თანამედროვე მენშევიზმის ტაქტიკის მთავარ წინასწარ პირობას?

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გამოიწვია კაპიტალიზმის ნაწილობრივი აღორძინება. ახალი ბურჟუაზია ქალაქსა და სოფელში ცდილობს განამტკიცოს დაპყრობილი პოზიციები ეკონომიკაში გარკვეული პოლიტიკური შინაარსით, ამზადებს რა ამით ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ურთიერთობათა აღდგენის გზას.

მენშევიზმი არის სწორედ ის პოლიტიკური ფორმა, რომელშიაც გახვეულია ახალი ბურჟუაზიის იდეოლოგიის შინაარსი. ამით აიხსნება მენშევიზმის გამოსვლა ახალი პლატფორმით, რომელიც შეიცავს „მენშევიკების განზრახვას" შეუდგენ აქტიურ მუშაობას და გამოიყენონ ამისათვის ყველა არსებული შესაძლებლობანი.

განსხვავება რუსეთის და საქართველოს მენშევიზმს შორის მდგომარეობს მუშაობის მეთოდში, ხოლო სოციალური დასაყრდენი ერთი და იგივეა.

იმ დროს, როდესაც რუსეთის მენშევიზმი იხრება მარცხნით, ღებულობს „სინდისიერ საბჭოთა" ლოზუნგს, და მოუწოდებს საბჭოთა კონსტიტუციის ჩარჩოების გაფართოებისაკენ, ორტოდოქსალური „მარქსისტი" ჟორდანია იმუქრება რუსეთის მენშევიზმის „ოპორტუნიზმისაგან", მოუწოდებს ყველა ნაციონალურ ძალებს (იგულისხმეთ მემამულეები, თავად-აზნაურები მედუქნეებთან და ნაციონალისტურ ინტელიგენციასთან ერთად) ერთიან ფრონტისაკენ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის.

ის აკანონებს ბანდიტიზმს, ღებულობს რა მენშევიზმის მეთაურობის ქვეშ ჩოლოყაშვილს, ის აკანონებს ინტერვენციას!

სურათი ნათელია. მენშევიზმი გადაგვარდა, როგორც მიმდინარეობა, რომელიც ამა თუ იმ გავლენით სარგებლობდა მშრომელთა მასების ერთ ნაწილში.

იგი გადაიქცა პოლიტიკურ ავანტიურიზმის ორგანიზაციად, რომელიც მოქმედებს სისხლის სამართლის ბანდიტიზმთან კავშირში ქვეყნის შიგნივ და გარედ უცხოეთის ინტერვენციონისტების იმედით.

განა ნათელი არ არის, რომ ჩვენი სამშობლოს მენშევიზმიც არის ბურჟუაზიის მესამე პარტია?

16. მენშევიზმთან ბრძოლის პრობლემა არ არის შემთხვევითი, არამედ იგია ხანგრძლივი მოვლენა, რომელიც მოითხოვს დიდ დროს და სიმტკიცეს, ვინაიდან მენშევიზმი გუშინწინ უძღოდა მუშებს და გლეხებს, დღეს იგი მეთაურობს მეორე სოციალურ ჯგუფს და ამუშავებს სათანადო პოლიტიკურ ხაზს. ჟორდანიას წერილები, ბანდიტების გამოგზავნა ვ. ჯუღელის მეთაურობით—ყველაფერი ეს არის მზადება ავანტიურისათვის, რომელსაც მუშათა მასები მზად უნდა დახვდნენ.

მენშევიზმი ცდილობს გასძვრეს საბჭოთა აპარატის, პროფესიონალურ კავშირების და მუშათა კლასის სხვა ორგანიზაციებში, იმ მიზნით, რათა აწარმოვოს იქ დეზორგანიზატორული მუშაობა, იყენებს რა ამისათვის ჩვენი აპარატის ყოველ მცირე შეცდომას.

საკითხი ხელფასის, კოლექტიურ ხელშეკრულებათა, საბინათ პირობების, ჩვენი მეურნეობის ამა თუ იმ დარგში შემჩნეულ ნაკლის შესახებ ცენტრალურ ადგილს დაიჭერს მენშევიკურ აგენტების გამოსვლებში.

ასეთია გზა მენშევიკების მიერ ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენებისაკენ და ამ დარგში საჭირო წინააღმდეგობის გასაწევად მზად უნდა იყოს პროლეტარიატი. ყოველ პარტიულ ამხანაგს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ჩვენი პოლიტიკის საფუძვლები ხელფასის საკითხში.

17. ზოგჯერ მენშევიზმი საბჭოთა მშენებლობის „მიუდგომელ კრიტიკოსის" ნიღაბის ქვეშ გამოდის და ამით მას შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს პროლეტარიატის დანარჩენი ფენები, რომელთაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ჩვენ პარტიაზედაც.

პარტია მოქმედებს წვრილ-ბურჟუაზიულ გარემოცვაში და ამიტომ სასტიკი დისციპლინა მის რიგებში ურყევი მთლიანობა საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს მუშაობას.

პარტიამ, რომლის რიგებში თავმოყრილია ახალგაზრდა, ახლად მიღებულ წევრთა მნიშვნელოვანი პროცენტი, აღზრდით, თვითეული ლენინელის შეგნებაში ლენინიზმის იდეების შთანერგვით უნდა შეაკავშიროს მუშათა კლასის ეს მოწინავე რაზმები და მათი საშუალებით მთელი უპარტიო მუშათა მასა. პარტია ფართო შესაძლებლობას ანიჭებს მუშათა მასებს გამოსთქვან თავიანთი აზრი ჩვენი პოლიტიკის ყველა საკითხებზე, მაგრამ მენშევიზმთან დაუზოგავი ბრძოლა არის აუცილებელი გარანტია საბჭოთა მშენებლობაში მუშათა მასების მონაწილეობისათვის.

18. სცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ მენშევიზმი დაიშალა და მან შესწყვიტა არსებობა, როგორც მუშათა მასების პარტიამ, საერთოთ შესწყვიტა არსებობა. იგი არსებობს, როგორც მიმდინარეობა, რომელიც ეყრდნობა მუშათა კლასისათვის უცხო ელემენტებს. დაუზოგავი ბრძოლა, მენშევიზმის წინააღმდეგ, მისი შინაარსის დამომქლავნება, ყველაფერი იმის გათვალისწინება, რაც ხდება მტრის ბანაკში—აი პარტიის ხაზი მენშევიზმთან ბრძოლის დღევანდელ მომენტში და ეჭვს გარეშეა, რომ თანამედროვე მენშევიზმის ახალ ტაქტიკას მოჰყვება ისეთივე შედეგები, როგორც დღემდის.

მასალები: ლენინი: Ценные признания Питирима Сорокина და სიტყვა „წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიების შესახებ" (იქვე კრებული ტომი—15-ე).

~~ტროცკი~~—„Между империализмом и революцией".

ზინოვიევი: სიტყვა კომინტერნის 5-ე კონგრესზე.

ვარდინი: „მენშევიზმი და ბოლშევიზმი".

რუბენი: „ვინ არიან ქართველი მენშევიკები?".

„სოც. ვესტნიკ." № 12—13. 20 ივნისი.

„ჩვენ და ისინი"—ჟორდანიას ბროშურა.

ს. კ. პ. ~~თბილისის კომიტეტის~~ საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან

მოხდენილია გამოკვლევა მოზრდილ თაობის (18—40 წ.) წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხისა და გამოკვლეულია, რომ წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი 18—40 წ. უდრის 370,000 კ. (ამ რიცხვში არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკები, სადაც წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი 90.000 კაცს აღემატება).

ბრძოლას წერა-კითხვის უცოდინარობასთან აწარმოებენ შემდეგი ორგანოები: პოლიტ-განათლების მთ. სამართველო, საქ. პროფკავშირის კულტგანყოფილებები, კულტგანყოფილება „დორპროფსოჟ"-ის და ქართულ დივიზიის პოლიტ-სამმართველო.

1923—24 სამოსწავლო წლის ივნისის 1-მდე მთავარ პოლიტ-განყოფილების მიერ გამოშვებულია 8145 წერა-კითხვის მცოდნე ე. ი. 31 პროცენტი თავისი პროგრამისა (მიცემული იყო წინადადება გამოეშვათ 23.015 წერა-კითხვის მცოდნე). ს. პ. კ. ს. კულტ-განყოფილების ცნობით, მიმდინარე სამოსწავლო წელს გამოშვებულია 405 წერა-კითხვის მცოდნე მუშები; მთელ რესპუბლიკაში წერა-კითხვის უცოდინარ მუშების და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საერთო რაოდენობის სტატისტიკური ცნობები კულტ-განყოფილებაში სამწუხაროდ არ არის. საქ. დივიზიის პოლიტ-სამმართველოს მიერ გამოშვებულია 1542 წერა-კითხვის მცოდნე ე. ი. სულ 100 პროცენტი.

საერთო არსებულ ცნობების მიხედვით 1923—24 წელს გამოშვებულია სულ 11.880 წერა-კითხვის მცოდნე. ვინაიდან სრული ლიკვიდაცია წერა-კითხვის უცოდინარობის უნდა იქნეს დამთავრებული ოქტომბრის რევოლიუციის მე-10 წელს ე. ი. 1927 წ. ნოემბრისათვის. საჭიროა მთავარ პოლიტ-განყოფილებამ განსაკუთრებულად გააძლიეროს თავისი მუშაობა.

ინსპექციის მიერ მიღებულია მთელი რიგი კონკრეტიული ზომებისა, რომელნიც უზრუნველჰყოფენ ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის იუბილესათვის წერა-კითხვის უცოდინარობის სრულ ლიკვიდაციას.

უმუშევრობასთან მებრძოლი კომისიის სხდომა.

ა.-კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოჰყო სპეციალური კომისია უმუშევრობასთან საბრძოლველად ამხ. ანდრო დოლიძის თავმჯდომარეობით და შემდეგი დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით: ა.-კ საოლქო საკონტროლო კომისიის, შრომის ბირჟის, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ა.-კ. და საქ. პროფკავშირთა საბჭოების, ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის, საქ. შრომის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების. კომისიამ თავის მხრივ მოიწვია მუშაობაში მონაწილეობისათვის აგრეთვე დამზღვევ სალაროთა წარმომადგენლები. კომისიის მუშაობა განზრახულია 2 თვით. კომისიამ თავის პირველ სხდომაზე ა.-წ აგვისტოს 8-ს მუშაობის გეგმის დასახვისას საჭიროდ სცნო წინასწარ შემდეგი ღონისძიებათა გატარება:

ა) მოახდინოს დაკვრითი წესით შრომის ბირჟის რეორგანიზაცია და უმუშევართა გაცხრილვა (გაწმენდა) ა.-კ. მასშტაბით.

ბ) გამოარკვიოს უმუშევართათვის არსებული სახელმწიფო ფონდის რაოდენობა და რამდენი ჯდება ფულად დახმარება უმუშევართათვის ა.-კ. მასშტაბით.

გ) კომისიამ დაავალა რესპუბლიკათა შრომის სახალხო კომისარიატებს და შრომის ბირჟებს წარმოადგინონ თავის მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებათა გატარება აქვთ მათ განზრახული საზოგადოებრივ სამუშაოთა მოწყობის დარგში.

ტალახით სამკურნალო აბანო

7 აგვისტოს გაიხსნა თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებული სამკურნალო დახმარების ქვეგანყოფილების ტალახის აბანო.

ტალახის სამკურნალოსათვის ყოფილი ირაკლის აბანოსაგან გამოყოფილია საკმაოდ მოზრდილი ნაწილი, რომელიც ახლად შეუკეთებიათ და მოუწყვიათ. სამკურნალო დაყოფილია კაბინეტებად, თვითეული კაბინეტი განაწესულია ერთი ადამიანისთვის. სამკურნალო ყოველმხრივ მოწყობილია, იგი უზრუნველყოფილია ყოველგვარი საჭირო იარაღით და სხვადასხვა სამკურნალო ხელსაწყოებით და ავეჯით.

დღემდე საქართველოში ტალახის ხოლოდ ერთი სამკურნალო არსებობდა ფიზიკო-ტერაპევტიულ ინსტიტუტთან, მაგრამ იგი საკმაო არ იყო ყველა ავადმყოფთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. რიგის მიხედვით საჭირო ხდებოდა ხშირად 6—7 თვის ლოდინი.

ამ გარემოებამ სამკურნალო ქვეგანყოფილებას აზრი აღუძრა მოეწყო ტალახის ახალი სამკურნალო.

დამზღვევი კასაც ამ განზრახვას თანაგრძნობით მოეკიდა, გადასდო საჭირო თანხები ამ საქმის მოსაგვარებლად, შემდეგ იჯარით იქნა აღებული ირაკლისეული აბანოს ნაწილი, ხოლო საქმის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა ექიმი ზანდუკელი, რომელსაც დაეკისრა მედიკური საქმის მეთაურობა.

დიდი აქტიური მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამ საქმის ორგანიზაციაში და დამთავრებაში მელითონეთა კავშირმა, რომელმაც იშოვა სამკურნალო წყლისათვის დიდი ქვაბი ტალახის გასაცხელებლად. მხურვალედ მოეკიდა სამკურნალოს გახსნას სატყეო კომიტეტიც, რომელმაც საამშენებლო მუშაობისათვის გაიღო ხე-ტყის მასალა.

ამ ახლო მომავალში განზრახულია ტალახის საავადმყოფოს გადიდება ირაკლისეული აბანოს დანარჩენი ნაწილის შემოერთებით, რასაკვირველია, თუ ამის შესახებ თანხმობას განაცხადებს თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი.

საბჭოთა სასამართლო

ხე-ტყის სახერხი ქარხნის თანამშრომელთა საქმე

გუშინ დაიწყო სატყეო ტრესტის მესამე ხე-ტყის ქარხნის ყოფილ გამგის თელიას და მისი თანამშრომლების არუთინოვის (ქარხნის ნოქარი), ჯეირანოვის (უფროსი ოსტატი) და ოსეფიანცის (მემანქანეს თანაშემწე და ქარხკომისმდივანის, (კომკავშირის ყოფ. წევრი) საქმის გარჩევა.

პირველ სხდომაზე წაკითხულ იქნა საბრალმდებლო დასკვნა. დასკვნის მიხედვით ქარხნის გამგეს თელიას ბრალათ ედება თანამდებობრივი ბოროტმოქმედებანი და, კერძოთ, თვისი მოვალეობისადმი დაუდევრობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ ქარხანაში არ იყო მოწესრიგებული საანგარიშო ნაწილი, შემოსავალი და გასავალი გამოურკვეველი არეულ-დარეული იყო. ხე-ტყის გაყიდვისას თელია უპირატესობას აძლევდა კერძო ვაჭრებს სახელმწიფო დაწესებულებების წინაშე: კერძო ვაჭრებს ეძლეოდა უკეთესი ღირსების ხე-ტყე და უფრო იაფად, ვიდრე სახელმწიფო ორგანიზაციებს. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ კერძო ვაჭრებს გამგე თელია აძლევდა საქონელს ნისიათ, რითაც ტრესტს ზარალს აყენებდა, რადგან ასეთ შემთხვევაში ვაჭრები უბრუნებდენ ქარხანას ფულს დაგვიანებით და გადახდის დღეს არსებულ კურსით. (ამას ადგილი ჰქონდა 1922 წ., როდესაც ფულის კურსი მტკიცე არ იყო). ქარხნის გასინჯვის დროს, რომელიც მოხდა თელიას დაპატიმრების შემდეგ, აღმოჩნდა 8 ფუთი ნავთის, 6 ფ. 28 გირ. მავთულის, 4 ფუთი რკინის, 12 არშ. ნარმის, ნავთის და სხვა საქონლის დანაკლისი. აღმოჩნდა აგრეთვე საანგარიშო დავთრებში შეუტანელი ზედმეტი ხე-ტყის მასალა. ასეთივე უთადარიგო საქმიანობა, დაუდევრობა და თელიას ბოროტმოქმედებებში მონაწილეობა ბრალათ ედება ჯეირანოვსაც და არუთიუნოვს. ქარხნის ადგილკომის მდივანს და კომკავშირის ყოფილ წევრს ოსეფიანცს ბრალათ ედება თავისი თანამდებობის ღირსების და ადგილკომის პრესტიჟის დამცირება ქარხნის მუშების თვალში, რაიც იმაში გამოიხატა, რომ სამსახურში იგი ხშირათ მთვრალი მოდიოდა ან კიდევ ქირაობდა ხოლმე მუშებს დროებითი სამუშაოზე, იმ პირობით, რომ მათ ქირის მიღებისას დაეპატიჟნათ იგი საქეიფოთ.

საბრალმდებლო აქტის წაკითხვის შემდეგ სხდომა დროებით წყდება.

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციას *)

(ახლი აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს).

გაზ. „კომუნისტი"-ს ა. წ. აგვისტოს 12 № 181-ში მოყვანილია ცნობა შესახებ იმისა, რომ ა. წ. 13 აგვისტოს ირჩევა კონსტანტინე თელიას, სტეფანე არუთინოვის, ბარსეღ ჯეირანოვის და ალექსანდრე ოსეფიანცის საქმე.

გაზეთში შეცდომით არიან აღნიშნული პირნი სატყეო ტრესტის ხელმძღვანელებათ გამოყვანილნი. მოქ. თელია არის სატყეო ტრესტის თბილისის ხე-ტყის სახერხ ქარხნის ყოფილი გამგე და არა ტრესტის გამგე და სხვები კი ამავე ქარხნის ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც თვით სატყეო ტრესტის მიერ არიან მიცემულნი პასუხისგებაში სამსახურში ყოფნის დროს, ბოროტმოქმედების დაშვების გამო.

ვინაიდან აღნიშნული ცნობა, როგორც სიმართლეს სრულიად მოკლებული, ჩირქს სცხებს სატყეო ტრესტის ხელმძღვანელთ და მშრომელთა მასის თვალში მის პრესტიჟს სცემს, სატყეო ტრესტი გთხოვთ გასწორებულ იქნას საჩქაროთ თქვენივე გაზეთის საშუალებით აღნიშნული შეცდომა.

სატყეო ტრესტის დირექტორის მოვალ. დრ. აღმასრ. ზ. სილიქაშვილი.

---

*) ჩვენ მწუხარებას გამოვსთქვამთ, რომ შეცდომაში ვიქენით შეყვანილნი.

რედ.

ქრონიკა

ა.-კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მეორე სესია. ა.-კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა 1 სექტემბერს მოიწვიოს თბილისში ა.-კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მეორე სესია.

— **პურისა და შაქრის განაწილება.** ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატმა შეიმუშავა გეგმა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის პურისა და შაქრის გასანაწილებლათ, აღნიშნულ გეგმის მიხედვით პური და შაქარი აგრეთვე განაწილებული იქნება ქალაქთა შორისაც საჭიროებისამებრ.

— **გამომცემლობათა განთავისუფლება სარეწაო გადასახადისაგან.** საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატის განკარგულებით წიგნების გამომცემელი სააქციონერო ამხანაგობანი, რომელთა დამაარსებლად ითვლებიან სახელმწიფო, პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციები, თავისუფლდებიან სარეწაო გადასახადისაგან.

— **საკრედიტო ამხანაგობა.** ივლისის განმავლობაში ოზურგეთის მაზრაში გაიხსნა 6 საკრედიტო ამხანაგობა შემდეგ ადგილებში: ოზურგეთში, ხიდისთავში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, ნაგომარში და სუფსაში.

— **მტკიცე ფასები ჩაქვის ჩაიზე.** ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატმა შეადგინა სპეციალური კომისია ჩაქვის ჩაიზე მტკიცე ფასების გამოსამუშავებლათ.

— **მანუფაქტურის გასაიაფებლათ.** მანუფაქტურის ბაზრის მოსაწესრიგებლათ შესდგა კომისია. კომისიას დაევალა აგრეთვე მიიღოს საჭირო ზომები მანუფაქტურაზე ფასების დასაკლებათ.

— **უმუშევართა გამოცხადების ვადა.** შრომის ბირჟაში პირველ კატეგორიის უმუშევრები უნდა გამოცხადდენ აღსარიცხავად თვეში ერთხელ, ხოლო დანარჩენი უმუშევრები სამ თვეში ერთხელ.

— **სტუდენტთა სასადილო.** პროლეტარულ სტუდენტთა ბიურომ გადასწყვიტა 15 აგვისტოდან განაახლოს სტუდენტთა სასადილოს მუშაობა.

— **ლენინიზმის შესასწავლათ.** ამ დღეებში, № 1 გამსახლის ადგილკომი და ახალგაზრდა კომკავშირის უჯრედი საბჭოთა მუშაკების კავშირის კულტგანყოფილების ხელმძღვანელობით გახსნის ლენინის კუთხეს, ლენინიზმის შესასწავლათ.

— **სამკურნალო პუნქტები სვანეთში.** ჯანმრთელობის კომისარიატმა წინადადებით მიმართა საქ. წითელ ჯვარს, რომ სვანეთში გახსნას სამკურნალო პუნქტი.

— **პენსიონერთა სია.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა გამოიმუშავა იმ პენსიონერთა სია, რომელთაც უნდა პენსია დაენიშნოს სახელმწიფოს წინაშე დამსახურების გამო.

— **მეტრიული სისტემა.** ა/კ. ზომა-წონის მთავარმა სამმართველომ მიიღო უკვე დამზადებული ზომა-წონის ნაწილების სრული შემადგენლობა.

— **საერთაშორისო [illegible]ყრილობაზე.** საერთაშორისო [illegible]ერატიულ ყრილობაზე, რომელიც გამართება სექტემბრის პირველ რიცხვებში გენტში (გერმანია), საქართველოდან იგზავნება ამხ. ამხ. ერქომაიშვილი, მარ. ორახელაშვილი და ტ. წივწივაძე.

— **წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველათ.** მთ. პოლიტ-სამმართველომ მაზრებში დაგზავნა სამემოდგომოთ სამუშაო გეგმები მცხოვრებთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველათ.

— **წითელ სასადილოების დათვალიერება.** ამ დღეებში მოხდება წითელ-სასადილოების დათვალიერება და მათში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის შემოწმება.

— **ცეკავშირის დახმარება წითელ-არმიას.** ცეკავშირი ამ ჟამად აწარმოებს თივის დამზადების საქმეს კავკასიის წითელდროშოვან არმიისათვის.

— **ელექტროფიკაცია.** ქ. აღმასკომმა გადასწყვიტა გარე-კახეთში მარტყოფში, სართიჭალაში და საგარეჯოში აგოს წყლით მამოძრავებელი ელექტრო-სადგური.

— **ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლა.** წარმოკავშირმა დაარსა ფილოქსერის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია. კომისიის განკარგულებაში გადაიდო განსაკუთრებული ფონდი კახეთში ფილოქსერასაგან დაზარალებულ ვენახების აღსადგენათ.

— **აბრეშუმის პარკის გატანა საზღვარ-გარეთ.** ბათომის ცეკავშირმა გადასწყვიტა გასანაღდებლათ მარსელში გაიტანოს 35 ვაგონი აბრეშუმის პარკი.

— **მთვარის დაბნელება.** დღეს, 14 აგვისტოს, ღამის 10 საათზე და 30 წუთზე მოხდება მთვარის დაბნელება.

— **დამატებითი შვებულების შესახებ.** ა/კ. შრომის კომისარიატმა დაადგინა შეადგინოს სია პოლიგრაფიულ წარმოებებში მომუშავე იმ მუშა-მოსამსახურეებისა, რომელნიც საჭიროებენ დამატებითი შვებულებას.

— **უმუშევრობა და შრომის ბირჟა.** ვინაიდან უკანასკნელ ხანებში მეტად გახშირდა უმუშევართა ჩამოსვლა ერთი რესპუბლიკიდან მეორე რესპუბლიკაში, ამ.-კავ. შრომის კომისარიატმა გადასწყვიტა დროებით აკრძალოს ჩამოსულ უმუშევართა აღრიცხვა შრომის ბირჟებში.

შემთხვევები.

— დაჭრა. 11 აგვისტოს, საღამოს ალექსანდრეს ბაღში უცნობმა ჯიბის დანით მძიმეთ დასჭრა მუცელში მოქ. ბირონ ასატუროვი. დამნაშავე მიიმალა. დაჭრილი გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში.

— შეპყრობა. 11 აგვისტოს დღით პლეხანოვის შესახვევი № 17 მარიამ მოროზოვის ბინიდან მოიპარეს 400 მან. ნივთები. სისხლის სამართლის მილიციამ ქურდი კონსტანტინე ციგური შეიპყრო ნაპარავი ნივთებით იმავე ღამეს.

— ქურდობა. 10 აგვისტოს, ღამით დუშეთის შესახ. № 16, მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს სიმონ აბაშიძის ბინა, წაიღეს საოჯახო ნივთები 80 მ.

— 11 აგვისტოს, საღამოს სიონის შესახ. № 1, გაქურდეს აზიზ მიკირტუმიანცის ბინა წაღებული ნივთების ღირებულება გამოურკვეველია.

— 10 აგვისტოს დღით, მუშათა ქუჩაზე გაქურდეს ნინა დავითაშვილის ბინა.

ხელოვნება

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბისა და ბაღის საზეიმო გახსნა.

კვირას, 10 ივლისს მოხდა ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბისა და ბაღის (ყ. მუშტაიდი) საზეიმო გახსნა.

ბაღი გაწმენდილი და გასუფთავებულია, კვალში ყვავილები ყველგან ლამაზად დაცული. ერთ-ერთ კვალში ვხედავთ ცოცხალ მცენარეებითა და ყვავილებით სურათს ამხ. ლენინისას

საზეიმო გახსნას 3000-ზე მეტი კაცი დაესწრო. განსაკუთრებით მუშები ლენინის რაიონისა და მუშათა ოჯახები.

სრულ 8—საათზე ამხ. ვაშაკიძე (ცბ. საუბ. პროფკავშირის თავმჯდომარე) ზეიმს გახსნილად აცხადებს. იგი ულოცავს მუშებს ამ საქმის ბრწყინვალეთ დასრულებას. „ინტერნაციონალი" და ხალხის ტაში ფარავს მის სიტყვებს.

შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. ქავთარაძე (ა/კ. რკ. გზელთა პროფკავშირის თავმჯდომარე).

ილაპარაკეს პროფორგანიზაციებისა და პარტორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

დასასრულ საზეიმო სხდომაზე არჩეულ იქნა კომისია 8 კაცის შემადგენლობით, რომლებიც საბოლოოდ იზრუნვებენ მომავალში კლუბის გასამშვენიერებლად და შეკეთების დასამთავრებლათ.

საზეიმო კრების შემდეგ ნაჩვენები იქნა რევოლიუციონური ხასიათის სხვა და სხვა კინო-სურათები. გაიმართა აგრეთვე კონცერტი.

ა—ძე.

პროვინციაში

ქალ. ახალსენაკი

ახალსენაკში საბჭოთა ხელისუფლების დროს ზევრი რამ არის გაკეთებული.

დღეს კი ქ. სენაკში ჩამომსვლელის ყურადღებას იქცევს საუცხოვოდ მოწყობილი ბაღი. თუმცა ის სავსებით არ არის დამთავრებული.

ბაღში ჩასვლისთანავე მნახველს თვალწინ გადაეშლება საუცხოვო ყვავილოვანი მცენარეულობა, ბალახეულობა და ჯერ კიდევ ნორჩი პატარა ნაძვები. ბაღში მოთავსებულია სამი ძეგლი ჩვენი ბელადებისა, რომლების ირგვლივ გაყვანილია საუცხოვო გზა-ტკეცილები.

ბაღშივე არის აუზი (არტეზიანის ჭა), რომელიც ერთი ორად ამშვენიერებს ბაღს. მუშაობას ბაღის გასამშვენიერებლათ აწარმოებს ქ. ცეკავშ.

ახალსენაკში სრულებით არ არსებობდა პარკის ფარდული წელს. ის გაშენებულ იქნა და თავის სიდიდით და სიმშვენიერით მნახველის ყურადღებას იპყრობს.

სენაკში არსებობდა ქალაქის თეატრი გასულ წელს სენაკის რკინის გზის მუშების მიერ იქნა აგებული რკინისგზის თეატრი. მიმდინარე წელს პროფკავშირმა დაიწყო მუშათა კლუბის აგება, რომელიც ჯერ-ჯერობით დაუმთავრებელია.

ეხლა სამაზრო აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს გააშენოს სახალხო სახლი. მაშასადამე ქ. სენაკში, ერთბაშად ოთხი თეატრი გვექნება! მაგრამ საკითხია მოიხმარს კი ამდენ თეატრს სენაკის მოსახლეობა?

არსებული თეატრებიც და ახალი თეატრების დაარსება შეიძლება ზედმეტი იყოს, რადგანაც სენაკის საბჭოთა თეატრი თითქმის ნახევრად დანგრეულია პარტერის ჭერი დამპალია და სხვა. სისუფთავეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ასეთ მდგომარეობას საჭიროა მიექცეს სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერარს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი რომელზედაც ხშირად სჩივიან როგორც თეატრის გამგე, ისე სცენის მოყვარეებიც. ეს არის საზოგადოების თეატრში მოუსვლელობა, მაგრამ ამაში საზოგადოება დამნაშავე არ არის. ეხლა ძლიერ პატარა ღამეებია. თეატრში მოსიარულეთა უმრავლესობას შეადგენს მუშა-მოსამსახურეები, რომლებსაც მეორე დღეს სამუშაოზე უხდებათ წასვლა.

სცენის მოყვარეები წარმოდგენას იწყებენ ხშირათ ღამის 11—12 საათზე და ამიტომ მაყურებლებიც ნაკლები ხალისით მოდიან თეატრში.

რეჟ.

მუშათა ცხოვრება

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე დანიშნულია „კომუნისტი“-ს მუშკორების საერთო კრება.

მუშკორებისათვის დასწრება სავალდებულოა.

არამზადა „ხაზეინები“ უნდა აილაგმონ

(ქალ. აღმასკომის და პროფკავშირთა საბჭოს საყურადღებოდ).

ყაზბეგის ქუჩ., № 5, სცხოვრობს ერთი მოუსვენარი „ხაზეინი“ ანიკიანცი. სცხოვრობს ორ ოთახში, მეორე ოთახი ყოფილი სამზარეულოა. ამ ოთახში ანიკიანცი ამუშავებს მუშებს (მეჩექმეებს), რომლებიც არ არიან ჩაწერილნი პროფკავშირში, არც თვითონ აქვს პატენტი აღებული და ასე ქურდულად ტყავს აძრობს გაჭირვებულ მუშებს. დილის 10 საათიდან, ღამის 10 საათამდე თავჩაღუნულნი მუშაობენ და ჯამაგირსაც სრულებით არ იღებენ. თუ ვინმემ გაბედა და სთხოვა, „ხაზეინი“ გაბრაზებული დაუწყებს ლანძღვა-გინებას და ხშირად ცემასაც. თვითონ ყოველ ღამე მთვრალი არ ასვენებს ამ სახლის მცხოვრებლებს. საჭიროა სათანადო ზომების მიღება მის ასალაგმავად.

გამვლელი ყაზბეგელი.

მიაქციეთ ყურადღება

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

ამხ. ლენინის უბანში მცხოვრები მუშები განიცდიან წყლის უქონლობით მძიმე კრიზისს. მთელ უბანში მხოლოდ ერთ ალაგას არის წყალსადენი, რომლითაც სარგებლობს მთელი უბნის მოსახლეობა. აქ მცხოვრებ სპეკულიანტებს აქვთ თავიანთ ეზოებში წყალსადენი, მაგრამ ფულის გადაუხდელობის გამო, მათი წყალსადენი დაკეტილია. ამიტომ ისინიც სარგებლობენ საერთო წყლით, მიაქვთ წყალი ბოჭკებით და მუშებს კი უხდებათ დაუსრულებელი რიგში დგომა წყალისათვის. საჭიროა მიეცეს სასტიკი წინადადება ამ არამზადებს ჩამოეცალონ მუშებს, რის შემდეგ მათ შეღავათიც მიეცემათ. მასთან საჭიროა მიეცეს წყალი საზღვრის ქუჩასაც.

ინფ. ი. დვალიშვილი,

უნდა აილაგმოს.

(წაღვერის მილიციის საყურადღებოდ).

დაბა წაღვერში მარია ზაქ. კვიტაშვილს დაავიწყდა, რომ ის დრო წავიდა, როცა „ხაზეიკებს“ ჰქონდათ ნება მოსამსახურესათვის ეცემათ. მას ყავს მოსამსახურე ელისაბედი ნიკოლ. გუსკინა 84 წლის მოხუცი ქალი. დილით 15 ივლისს ბაზრიდან რომ დაბრუნებულიყო „ხაზეიკას“ ენახა, რომ მოქ. გუსკინას მისი ბავში ვერ გაეჩუმებინა. მივარდა მოსამსახურეს, სტაცა ხელი თმაზე და დაუწყო გამხეცებული ცემა. გუსკინას ყვირილზე მოგროვდა ხალხი და ძლივს გააშველეს. ამას ბოლო უნდა მოეღოს, ასეთი „ხაზეიკები“ უნდა დაწყნარდნენ და სამუდამოდ აილაგმონ.

ინფ. უხილავი.

რას ნიშნავს ეს?

(„ზაკტპო“-ს საყურადღებოდ)

ასეთი მაგალითების შემდეგ, როგორიც მოხდა 21 ივლის, მესამე კოოპერატივის დუქანში, თითქმის გვეკარგება ხალისი ჩავეწეროთ კოოპერატივში. მივედი აღნიშნულ დღეს „ზაკტპოს“ მესამე დუქანში ფხვნილი შაქრის სასყიდლად, დამიფასეს 26 ნახევარი კაპ., წავედი პირველ დუქანში და იქ ვიყიდე 26 კ., როდესაც მე უთხარი, რომ მესამე დუქანში ღირს 26 ნახევ. კ., იქვე ჩემს თვალწინ გახადეს 26 ნახევ. ასეთი მაგალითები ბევრი იქნება კოოპერატივებში, რაც მუშაზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. ფასების მომატების შესახებ უნდა გამოცხადებული იყოს წინდაწინვე, მაგრამ „ზაკტპო“-ს გამგეობას არა სურს შეიწუხოს თავი და ეს კი დაუშვებელია.

წევ. ასლამაზოვი.

გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბაში

ამ დღეებში გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბაში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრების მიზანს შეადგენდა მომავალ სამრეწველო სათათბიროში დელეგატების არჩევა და დღის წესრიგიც უმთავრესად ამ საკითხს შეეხებოდა.

სამრეწველო სათათბიროს მნიშვნელობის შესახებ საბჭოთა რესპუბლიკებში მოხსენება გააკეთა ამხ. გიორგი სტურუამ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა და რა დანიშნულება ეკისრება სამრეწველო სათათბიროს, სადაც გაგზავნილ უნდა იქნენ გამოცდილი, პატიოსანი და კვალიფიციური მუშები, ვისაც კი აინტერესებს ჩვენი მუშურ-გლეხური საბჭოთა რესპუბლიკების აღორძინება და მისი მოღონიერება როგორც საქალაქო მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაშიც.

რომ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები უფრო ნაყოფიერად ავამუშაოთ, ამისთვის საჭიროა ყველა დაინტერესებული მუშა-მოსამსახურეები ჩავაბათ მისი აღორძინების და დაწინაურების საქმეში. მუშათა კლასს სურს თავისი მუშური სახელმწიფო ააყვავოს ისე, როგორც ეს მუშებისათვის იქნება სასურველი.

ამხ. გ. სტურუას მოხსენების შემდეგ კრება ირჩევს სამრეწველო სათათბიროში მონაწილეობის მისაღებად 16 მუშა-დელეგატს და 5 კანდიდატს. დელეგატები ძველი, გამოცდილი მუშები არიან. სტამბაში მუშაობს 160 კაცი, 16 მუშაზე ერთი დელეგატია არჩეული.

მუშკორი ყარამანი.

წაღვერის აღმასკომის საყურადღებოდ.

ერთი კვირის შვებულების დროს წავედი წაღვერში. იქ ვესტუმრე ერთ-მეგობარს, რომელიც ცხოვრობს კაჭუნაშვილის უბანში. აქ სუფევს აშინელი სიბინძურე. სიბინძურისკან იმ უბნის მოაგარაკეები დიდს გაჭირვებას განიცდიან. ფეხსადგილები სულ უვარგისებია. ერთ მოქალაქეს ჩაუტყდა და შიგ ჩავარდა. ამავე უბანში განათების და წყალის მხრითაც გაჭირვებას განიცდიან მოაგარაკეები. სახლის მეპატრონეები კი არხეინად ღებულობენ ფულებს და მეტს არაფერს დაეძებენ. ამ უბნის მოაგარაკეთ უნდა მიექცეს ყურადღება, გაწმინდონ აგარაკი, რომ ავაცილოთ თავიდან მოსალოდნელი ეპიდემია.

მუშკორი ლანტკურელი.

რკინისგზელთა ქრონიკა

— **მუშა-ქალების ჩაბმა—პროფ მუშაობაში.** ა.-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირმა დაგზავნა მიმართვა ყველა საუბნო პროფკავშირებში აწარმოონ ფართე აგიტაცია მუშა-ქალთა შორის საკავშირო მუშაობაში ჩასაბმელად.

— **საექსკურსიოდ.** 1 აგვისტოს თბ. საქონლის მუშები—„სპარტაკელები“ რიცხვით 30 კაცი ლენინის უბნის ახკომკავშირის ხელმძღვანელობით გაემგზავრენ საექსკურსიოდ ქ. ქუთაისში.

— **სკოლა წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციოდ** 1-ლ აგვისტოდან მთავარ სახელოსნოების მუშებისათვის გაიხსნა სკოლა. ჯერ-ჯერობით ითვლება სკოლაში 27 კაცი.

— **„წითელი კუთხე“.** თბილ. სადგურთან არსებულ „ზაკტპო“-ს პურის საცხობის მუშებისათვის არსდება „წითელი კუთხე“. საჭირო წიგნები; პლაკატები და ჟურნალ-გაზეთები უკვე შეძენილია.

— **800 ფუთი პური.** იმავე ფურნეში დღე-ღამის განმავლობაში „ზაკტპო“-ს წევრთათვის ცხვება 800 ფუთი პური.

— **საშეფო სოფლისათვის.** თბ. საქ. სადგურის მუშების დრამატიული წრე ამ დღეებში ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გამართავს საღამო-წარმოდგენას საშეფო სოფლის პატარძეულის სასარგებლოდ.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

ამხ. აღმასკომელ შარ—შვილს.

მე ემსახურობდი ქალ. აღმასკომში ვავხდი ავად, რის გამო საკონტროლო საექიმო კომისიამ მომცა შვებულება და გამგზავნა სანატორიუმში ჯანმრთელობის აღსადგენად. გავიდა ორი თვე, მე საგრძნობლად გემოკეთდი და ისევ დავუბრუნდი ჩემს ძველს სამუშაოს; მაგრამ ჩვენმა ადმინისტრაციამ სამუშაოზე არ დამიშვა და გამომიცხადა, რომ მე უკვე დათხოვნილი ვარ სამსახურიდან, ვინაიდან მე შეუწყვეტლად მთელ ორ თვის განმავლობაში ვიავადმყოფე. გთხოვთ განმიმარტოთ, კანონიერად მოქცია თუ არა ჩემს მიმართ ადმინისტრაცია.

პასუხი: თანახმად შრ. კანონთა კოდექსის მუხ. 47.-ზე ადმინისტრაციას აქვს უფლება დაარღვიოს შრომის ხელშეკრულება დანიშნულ ვადაზე ადრე და დაითხოვოს სამსახურიდან მუშა-მოსამსახურე, თუ კი ის აღარ იარება სამსახურში, თუ გინდ ავადმყოფისა გამო შეუწყვეტლად მთელ ორი თვის განმავლობაში.

ამ გვარად ადმინისტრაციის მოტივი თქვენი დათხოვნისა კანონიერია.

ამხ. რკინისგზელს.

მე ამას წინედ ვმსახურობდი უფრო მაღალ დარგში მეტი საპასუხისმგებლო ადგილზე და შრომის ხელფასიც მქონდა მეტი. ამ ჟამად ადმინისტრაცია მპირებს ჩამოქვეითებას; მე ამაზე არ ვთანხმდები, ამიტომ მემუქრება სამსახურიდან მოხსნით. გთხოვთ განმარტებას, აქვს თუ არა ადმინისტრაციას ამის უფლება.

პასუხი: თუ კი რომელიმე წარმოება-დაწესებულებაში დროებით არ მოიპოვება ისეთი სამუშაო, რომლისათვის მოწვეულია მუშა-მოსამსახურე, ადმინისტრაციას აქვს უფლება გაუგზავნოს იგი სხვა სამსახურზე თანახმად მისი კვალიფიკაციისა და არა აქვს მას უფლება მოთხოვოს მუშას ისეთი სამუშაოსი ასრულება რომლისთვის ის აღარ იყო მოწვეული. ამ უკანასკნელ მიზეზით ჩამოქვეითება დაუშვებელია.

[illegible] განცხადება

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ „კომუნისტის“ უახლოეს №-ში ადგილი დაუთმოთ შემდეგ განცხადებას: დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა უკანასკნელ დრომდე მე ვეწეოდი არალეგალურ მუშაობას საქ. ახალგ. მარქს. ორგ—ში. მასთან წელიწადზე მეტია, რაც არალეგალურათ ვცხოვრობ. ამ განცხადებასაც არალეგალურ პირობებში ვწერ. აქედან ცხადია ზედმეტია და უადგილო ყოველგვარი მითქმა-მოთქმა რაიმე ძალდატანების ქვეშ ამ განცხადების შედგენის შესახებ.

დროთა მსვლელობაში საერთაშორისო სოციალურ ძალთა ჭიდილი თანდათან მწვავდება და იხლართება. ამ ძალთა ჭიდილში საბოლოოთ აშკარავდება როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი მენშევიზმის პოლიტ-მოღვაწეობის მიუღებლობა მუშათა კლასის თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც მენშევიზმი—მუშათა პარტიის სახით—ძალა-უფლებას სათავეში მოექცა უაღრესად განვითარებულ მრეწველობისა და მუშათა კლასის სამშობლო—ინგლისში.

„გამარჯვებულ“ მენშევიზმმა ვერ გადადგა ვერც ერთი რევოლუციონური ნაბიჯი ვერც შინ, ვერც გარეთ კერძოთ მუშურ-გლეხურ რუსეთთან რადიკალურათ ურთიერთობის მოგვარების საქმეში. სამაგიეროთ, ის მონდილათ ანაღდებს საკუთარ და უცხოელ ბანკირების პოლიტიკას.

ადგილობრივი მენშევიზმიც, ცხადია, სავსებით ეყრდნობა საერთაშორისო მენშევიზმის ტაქტიკას, რომელსაც—როგორც აღვნიშნეთ,—თუ არ უშველით, საბოლოოთ მაინც განსაზღვრავს ბანკირების პოლიტიკა. ამას ზედ ემატება ადგილობრივად ნაციონალიზმით გატაცება და ამ ნიადაგზე მჭიდრო კავშირი „საკუთარ“ ბურჟუაზიასთან, არსებულ წყობილების წინააღმდეგ სამოქმედოთ.

ყოველივე ეს კი—მიუღებელია მარქსისტული სოციალიზმის თვალსაზრისით და ამდენათვე უარსაყოფი ყოველგვარი მუშაობა, „ლეგალური“ თუ არალეგალური, რომელსაც ჩვენში აწარმოებს აღნიშნულ ნიადაგზე მდგარი ორგანიზაცია.

გამოვდივარ რა აქედან—ფაქტიურათ რამოდენიმე თვით ადრე ჩამოშორებული არალეგალურ მუშაობას, დღეს საჯაროთ ვაცხადებ, რომ უარვყოფ და თავს ვანებებ არალეგალურ მუშაობას და ძველი გზის უარყოფასთან ერთად, საერთოდ და მთლიანად ვიზიარებ რა იმ პოლიტიკურ ხაზს, რომლის ნიადაგზე მოქმედებენ კომუნისტური მიმართულების იდეური ორგანიზაციები (კომ. პარტია, კომ. ინტ—ლი, განსაკუთრებით წითელი პროფინტერნი), მზადა ვარ ჩემი მცირედი ძალღონით ხელი შეუწყო არსებულ ხელისუფლებას იმ ნაყოფიერ და აღმშენებლობითი მუშაობაში, რომელსაც ის აწარმოებს ჩვენში. ძლევამოსილი პროლეტარული რუსეთის დახმარებით.

საქ. ახალგ. მარქს. ორგ. არალეგ. ცენტრ. კ—ის წევრი **ლადო ფირცხალავა.**

9 აგვისტო 24 წ. ქ. თბილისი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 9.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ტალახაძე განთავისუფლებულ იქნეს ამ თანამდებობიდან ა/წ. ივლისის 25-დან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ლ. ღოღობერიძე.
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე
თ. კეჭაღმაძე.
1924 წელი—აგვისტოს 12.
ქ. თბილისი-სასახლე.

ბრძანება № 10

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის მმართველს ამხ. ბართლომე (ბარონ) ექვთიმეს ძე ბიბინეიშვილს მიეცეს ერთი თვის შვებულება ა/წ. აგვისტოს 6-დან სექტემბრის 6-მდე.

2. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის მმართველის თანამდებობის აღსრულება ამხ. ბ. ე. ბიბინეიშვილის შვებულების დროს დაევალოს ამხ. ივანე ანდრონიკაშვილს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ლ. ღოღობერიძე.
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე
თ. კეჭაღმაძე.
1924 წელი.—აგვისტოს 12
ქ. თბილისი—სასახლე

ბრძანება № 11.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ფეროო-მარგანეცის წარმოების საქმის შემსწავლელ კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის აღსრულება ამხ. ჟუჟიკაშვილის შვებულების დროს დაევალოს ამხ. ნიკო კიკნაძეს ა/წ. ივლისის 26-დან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ლ. ღოღობერიძე.
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე
თ. კეჭაღმაძე.
1924 წელი—აგვისტოს 12.
ქ. თბილისი სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— თბილისის კომიტეტის საგიტ.-საპროპ. განყოფილება 14 აგვისტოს, დილის 12 საათზე იწვევს კომისიას უმაღლეს სასწავლებლებში, კომუნისტურ უნივერსიტეტებში და მუშათა ფაკულტეტებზე ადგილების გასაწესრიგებლად. სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების გამოცხადება: გოლდბაუმის, გ. სტურუასი, მელაძის და ფირალოვის.

საგიტ.-საპროპ. განყოფილების გამგის მოადგილე ელისაბედაშვილი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს კომპარტიის წევრს კიპრეესკის დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ამ თვის 14 რიცხვისთვის.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის აღმრიცხავ-სტატისტიკური განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ არსენალის რაიკომში ზოგიერთ ცნობების ჩასაბარებლად პირად პასუხისმგებელ მუშაკების შესახებ.

1. ლევიშიც მიხეილ, 2) ბალტინი ავგუსტი, 3) აივაზოვი ნიკოლოზ, 4) ტრაპაიძე ზავედი, 5) ნადირიშინ ახმედი.

აღმრ.-სტატ. განყოფილების გამგე: კოჩეივი.

სოფ. ფარხულანის მეჯოგეთა ყრილობა (ზუგდიდის მაზრა)

ფარხულანის თემში 12 ივნისს მოხდა ყრილობა ადგილობრივი მეჯოგეების „მეჯოგეთა კავშირის“ დაარსების შესახებ. ყრილობას დაესწრო თითქმის მთელი გლეხობა განურჩევლად სქესისა. კრებამ ერთხმად აირჩია თავმჯდომარედ ა. შონია, მდივნად ნ. შონია.

„წარმოკავშირის“ ინსტრუქტორმა ამხ. ა. წულაიამ გააკეთა მოხსენება მეურნეობის და კერძოთ მეჯოგეთა კავშირის დაარსების შესახებ.

ყრილობა აღფრთოვანებით შეეგება „მეჯოგეთა კავშირის“ დაარსებას. და აირჩია საბჭოში ხუთი კაცი მეჯოგეთა წრიდან გამოსულები. ვიმოდოვნებთ, რომ კავშირი შესაფერისად გაუძღვება მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგს და ხელს შეუწყობს ჩვენი სასოფლო მეურნეობის წინსვლას.

ნ. შონია.

სოფელი ბაში (ქუთაისის მაზრა)

საქართველოს გასაბჭოებამდის ეს სოფელი ყოველმხრივ ჩამორჩენილი იყო. გარდა სასწავლებლისა, მას არ ჰქონდა არავითარი კულტურული დაწესებულება. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. დაარსდა კოოპერატივი. სოფელმა აღძრა შუამდგომლობა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წინაშე საექიმო პუნქტის გახსნის შესახებ. უკანასკნელმა დააკმაყოფილა ბაშელების თხოვნა და გახსნა საექიმო-სასანიტარო პუნქტი საექიმო დახმარების უფასოდ მისაწოდებლად. გაიხსნა აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება გასული თვის ბოლო რიცხვებში. ხაზი გაყვანილია სადგურ კოპიტნარიდან სოფელ ბაშამდე 6 ვერსის მანძილზე. ამ საქმესთან დაკავშირებით უნდა მოხდეს ყველა შარა-გზების შეკეთება, რისთვისაც მთელი სოფელი მზად არის. განზრახულია აგრეთვე გზების გაკეთების შემდეგ, სახალხო სახლისა და სკოლის შენობის აგება. ყველა ზემოაღნიშნულ საქმეებს მეთაურობს ამხანაგი თეოფანე ჩიქოვანი რომელმაც დაწვრილებით გააცნო უმაღლეს ორგანოებს სოფლის მდგომარეობა და აწარმოვა დაუღალავი მუშაობა საზოგადოების საკეთილდღეოთ. ამხ. ჩიქოვანი, როგორც გამოცდილი პროფმუშაკი კარგად იცნობს მშრომელ მასის საჭიროებას და ხელმძღვანელობს მას აღმშენებლობითი მუშაობაში.

მ. ცქიტიშვილი.

დუშეთის მაზრა

გასაბჭოების შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა დუშეთის მაზრაში. თვით დუშეთში ორკლასიანი სასწავლებლის ნაცვლად ტეხნიკუმი დაარსდა, დაარსდა საზაფხულო თეატრიც, შუა ქალაქში მოედანზე გაშენდა მშვენიერი სასეირნო ბაღი, რომელსაც ამშვენებენ რევოლიუციის ბელადების ძეგლები: ლენინის, ენგელსის და შაუმიანის, არის აგრეთვე შოთა რუსთაველის ძეგლიც. გაკეთებულია ელექტრო-სადგურიც, ყველაფერს ჯეროვანი ყურადღება ექცევა, მხოლოდ მაზრის ჯანმრთელობის განყოფილება სუსტობს; არ არის ხირურგი, ბავშვთა ავადმყოფობის ექიმი, ქალთა ავადმყოფობის ექიმი და სხ. ამ გაზაფხულზე გავრცელდა ბავშვებში წითელა, რომელმაც რამდენიმე ბავშვი იმსხვერპლა, ეხლა გავრცელებულია მაზრაში ყივანახველა, რომელსაც ჯერ-ჯერობით ბევრი არ უმსხვერპლია, მაგრამ თუ სასწრაფოდ ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა, ბევრს მოუსწრაფებს სიცოცხლეს. საჭიროა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ მდგომარეობას.

დუშელი.

ნოქალაქევის აბანო-აგარაკი (სენაკის მაზრა)

ნოქალაქევის სამკურნალო წყაროს სათავე, სადაც დღეს გაშენებულია აბანო, როგორც ამბობენ, აღმოჩენილია უძველეს დროში. მაგრამ არც ფეოდალურ, არც თვითმპყრობელურ და არც მენშევიკურ ხელისუფლებას აბანოზე ზრუნვით თავი არ შეუწუხებია.

დღეს წყაროს სამკურნალო მნიშვნელობა კარგად არის ცნობილი და აბანოც თვალსაჩინოდ არის გაუმჯობესებული. აქ მოდიან როგორც სენაკის მაზრის მკვიდრნი, ისე შორეულ ადგილებიდანაც. მიმდინარე წელს მოაგარაკეთა რიცხვი 60-მდე არის. სამაზრო აღმასკომს მოწყობილი აქვს შესაფერი ბინები მომსვლელთათვის. არის 5 სახლი ფასიანი და 1 სახლი უფასო ღარიბებისათვის, 22 ოთახებითა და სამზარეულოთი. ოთახი 1 ხარისხის ღირს დღე-ღამეში 1 მან., 2 ხარისხის 75 კაპ. ბანაობა თითოჯერ 10 კაპ. აბანოს მოწყობილობა კარგია. მას აქვს ერთი საერთო ვანა (10 კაც.) და ორი ვანა (თითო 5 კაციანი). აბანო და საბინაო ადგილი შემოკავებულია. დაცულია სანიტარული წესები.

აბანო-აგარაკს განაგებს ამხ. აკაკი ბალათურია. აღსანიშნავია ამხანაგის ენერგიული მუშაობა და ზრუნვა აბანოს გასაუმჯობესებლად.

აბანოს წყალი თბილია; დასალევათ კარგია და უხდება კუჭის ტკივილს.

აბანო-აგარაკის ირგვლის მიმდინარე ტეხურის ხმაური ღამით ოთახში მწოლარეს ძილს გიფრთხობთ, მოგაგონებენ წვიმას. ბინების გასწვრივ ტერასისებურ გზას, მთა-გორიან მიდამოს ღამით ფანრების სინათლე ამშვენებს.

სტუმარი.

ზემოხეთის თემი (გურია)

ხსენებული თემი თუ მენშევიკების დროს კულტურულად მოიკოჭლებდა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, თემის რევკომაღმასკომის ინიციატივით დაარსდა სხვადასხვა კულტურული დაწესებულებები, რომლის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ კულტურულად ეს თემი არ ჩამოუვარდება სხვა მეზობელ თემებს.

აქ არსებობს ფოსტა-ტელეგრაფი, 7-წლედი შრომის სკოლა, ორი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, სამკითხველოები, სახალხო სახლი, პარკის ფარდული, აგარაკი „ორკე“ თავის ბუნებრივი სიმდიდრით ნაძენარით, არსებობს ტელეფონით და წყალსადენიც.

ხსენებული აგარაკით უკანასკნელ ორ წელიწადში სარგებლობდნენ როგორც ადგილობრივი, ისე გარეშე საზოგადოებაც. სამწუხაროდ აგარაკზე არ არსებობს აფთიაქი. ამავე თემში არსებული საფერშლო პუნქტიც გააუქმეს, რომლის გაუქმება დიდ გასაჭირში აგდებს როგორც მოაგარაკეებს, ისე სოფლის მოსახლეობას.

სამკითხველოს გამგეთ არჩეულია მასწავლებელი ელენა ბროკიშვილისა, რომელიც სრულიად არ ზრუნავს ჟურნალ-გაზეთებზე და არც პასუხისმგებლობას გრძნობს მის ამომრჩევლების წინაშე.

პირველ ხანებში ჟურნალ-გაზეთები მოგვდიოდა, რომელსაც იწერდა ამხ. კოტრიკაძე თემის ანგარიშზე, საბჭოს თავმჯდომარის თანხმობით.

ჟურნალ-გაზეთები აწყვია კერძო ოჯახში, და არა სამკითხველოში.

ამ თემში არსებობს დრამატიული წრე. გამგეობის თავმჯდომარეთ ითვლება 7-წლ. შრომის სკოლის გამგე ზაქრო ჯაში.

მართალია ორჯერ იყო მათ მიერ წარმოდგენა დადგმული, რომლის შემოსავლის ანგარიშების შესახებ არავინ იცის რა. მაგრამ დარწმუნებული ვართ, თანახმად პოლიტგანის მოწერილობისა, დრამატიული წრე აირჩევს ახალ გამგეობას საბჭოს თ-რის ხელმძღვანელობით, რომლებიც გამოასწორებენ წარსული მუშაობის უარყოფით მხარეებს.

გურული.

პროვინციის ქრონიკა

— **კულტმზრუნველობა.** პირველ არტილერიის დივიზიონმა მიიღო კულტმზრუნველობა სოფ. მარტყოფზე (გარეკახეთი).

— **წვიმა თელავის მაზრაში.** დიდი სიცხეების შემდეგ თელავის მაზრაში მოვიდა ძლიერი წვიმა.

— **სურამ-ძირულის შარა-გზა.** გზა-ტკეცილების სამმართველომ დაიწყო დიდი შარა-გზის გაყვანა სურამ-ძირულას შორის.

— **ხიდი მდინარე ჯუმზე.** ახალსენაკში მდინარე ჯუმზე ხიდის აგება უკვე დამთავრდა.

— **საშინელი სიცხეები და გვალვა სიღნაღის მაზრაში.** სიღნაღიდან მოსული ცნობით, ამ ჟამად იქ საშინელი სიცხე და გვალვაა.

— **მღვდლები იხდიან ანაფორას.** დუშეთის მაზრაში მცხოვრებ მღვდლებმა გადასწყვიტეს გაიხადონ ანაფორა და შეუდგენ ხვნა-თესვას.

— **ახალგაზრდა ლენინელები სოფლად.** ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა წინადადება მისცა თავის ქვემდებარე აღმასკომებს ახალგაზრდა ლენინელებს აუკრძალონ ადმინისტრატიულ ფუნქციების შესრულება.

— **მმაჩი სოფლათ.** ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით მმაჩის გამგებს სასტიკათ ეკრძალებათ სიარული ქორწილებში, ნათლობასა და ქელეხებში.

— **მესაქონლეთა კავშირი აჭარაში.** აჭარის მიწად-მოქ. კომისარიატის ინიციატივით არსდება ტყვარის მესაქონლეთა კავშირი.

— **მევენახეობის კურსები.** სოფ. ყვარელში (კახეთი) გაიხსნა სამ კვირეული კურსები მევენახეობის შესასწავლათ.

— **საავადმყოფო სოფ. მარტყოფში.** სოფ. მარტყოფში უკვე დასრულდა საავადმყოფოს მოწყობა. ამ დღეებში საავადმყოფო დაიწყებს მოქმედებას.

— **სახალხო სახლები სოფლათ.** სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა გადასდო ათას-ათასი მანეთი ნუკრიანისა და მაჩხაანის სახალხო სახლების საჭიროებათათვის და ათასი მანეთიც მაზრაში ზოგიერთი გზების შესაკეთებლათ.

— **წიგნების შეძენა.** სიღნაღის აღმასკომმა დაადგინა შეიძინოს მაზრაში არსებულ 20 ქოხ-სამკითხველოსათვის წიგნები.

— **თვითდაბეგვრა ელექტროფიკაციისათვის.** საქ. სახკომსაბჭომ ნება დართო სიღნაღის სამაზრო აღმასკომს გაატაროს შეძლებულ მცხოვრებთა თვითდაბეგვრა ერთი მილიონი მანეთის რაოდენობით მაზრაში ელექტროფიკაციისა, მელიორაციისა და სხვა საამშენებლო სამუშაოთათვის.

— **სიღარიბის მოწმობების გაცემა.** ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა დაუგზავნა ცირკულიარული ახსნა-განმარტება გლეხკომებს, რომ მათ შეუძლიანთ გასცენ მხოლოდ სიღარიბის და არა კეთილ საიმედოობის მოწმობები.

განცხადებები

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის
მუშათა კომიტეტი
აცნობებს ყველა პროფესიონალურ და სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომ
ხუთშაბათს, ა. წ. 14 აგვისტოს, საღამოს 4 საათზე
ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო ადგილზე
დანიშნულია
მუშათა კლუბის საზეიმო გახსნა
„ზაჰესის“ მუშათა კომიტეტი სთხოვს ზემოხსენებულ ორგანიზაციებს გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი ხსენებული კლუბის გახსნაზე.
ნ. 1415 1—1. „ზაჰესი“-ს მუშათა კომიტეტის პრეზიდიუმი.

საგირაო ეტლებით სარგებლობის წესი

თბილისის ქალაქის აღმასკომის სავალდებულო დადგენილების № 79, (ა. წ. 8 აგვისტოდან) გამოქვეყნების შემდეგ საგირაო ეტლებისათვის დაწესებული ნიხრი უქმდება.

ქ. თბილისის მსუბუქ მეეტლეთა გაერთიანებული მშრომელი საზოგადოების გამგეობა, აცნობებს რა ამის შესახებ მოქალაქეებს, წინადადებას აძლევს მათ,—მეეტლებთან ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, წინასწარ შეუთანხმდენ მგზავრობისათვის ქირის მიცემის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე გაუგებრობას ექნა ადგილი, ნუ დაუწყებენ დავას მეეტლებს და მომხდარი გაუგებრობის შესახებ აცნობონ გამგეობას ეტლის ნომრის და უკმაყოფილების მიზეზების აღნიშვნით.

მოქალაქეთა ყოველი საფუძვლიანი განცხადება გამგეობის მიერ სათანადოთ იქნება გადაწყვეტილი, ხოლო მოქალაქეები, რომელნიც არ გადაიხდიან ხვედრს ქირას და თავს ნებას მისცემენ ექსპლოატაცია უყონ მეეტლის შრომას, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

მისამართი: დესიმონოვის მოედანი, ტელეფონი № 8—36.

გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე—ავეტოვი.
ნ. 1416 1—1. გამგეობის წევრი—შემგროვსკი.

მკათათვის [illegible]
ალარ დაბრუნებულა. [illegible] გურჯაანში, მაგრამ [illegible] ვერ ეპოვნე. [illegible] და თმა გადავარცხნილი, ცხვირი წვრილი [illegible] ვინმემ იცის, შეატყობინოს: ქ. თბილისი ჩერქეზოვის ქუჩა № 99. [illegible] ლაშვილი. 1709

ჟურნალ [illegible]
რომლებთანაც შეიძლება ჟურნალის გამოწერა და მიღება
თბილისი—რუსთაველის პროსპექტი, პოლიტგანათლების მ
ქუთაისი—განათლების მუშაკთა სატარიფო ნაწილის გამგე ა დრე კუპავასთან.
ბათუმი—გაზეთ „ფუხარას“ სამხეო ნაწილის გამგე ალ ქსაკიასთან.
ჭიათურა—აღმასკომის პოლიტგანყოფილების გამგე ტყემალა
ხონი—რაიკომიტეტის ინსტრუქტორი მიხეილ რუხაძესთან.
ყვირილა—აღმასკომის პოლიტგანათლების გამგე კირილე მ თან.
სამტრედია—შრომის განყოფილების გამგე ვასილ ჯიბლაძეს
ფოთი—პარტკომის საარიცხვო და სტატისტიკურ ნაწილ დავით გიორგის ძე ვაჩეიშვილთან.
ოზურგეთი—პარტკომის სტატისტიკურ და საარიცხვო გამგესთან.
გორი—პარტკომის საპროპაგანდო ნაწილის გამგესთან.
ხაშური—განათლების მუშაკთა კავშირის პასუხისმგებელ ალექსანდრე კვაჭაძესთან.
ახალ-სენაკი—პარტკომის საარიცხვო ნაწილის გამგე ჯანჯ
ბორჯომ-ბაკურ-წაღვერ-ბაკურიან-ცემში—აღმასკომის მელ ქრისტეფ. ალექ. მაისურაძესთან.
სოჩა, ადლერი, პლასტუნკა—ქართულ სკოლის გამგე ტ სენის ძე დუნდუასთან.
მოსკოვი—ქართული კულტურის სახლი.
ნ. 1414 1—1. „მნათობის“ კანტორის გამგე ალექ. ჩოგოვა

სახელმწ. უნივერს. მუშფაკის, ტეხნიკუმ. ქართულ მეთაურთა პროგრამით ვასწავლი და გამდივარ მოკლე ხანში მეთემატ
ალგებრას,
ტრიგონომეტრიას
და გეომეტრი
აგრეთვე მთელ კურს არითმეტიკისას
საბუღალტერო კურსებზე შესასვლელად. პლეხანოვის ქუჩა № 25
ლი ალექსის ქუჩა. 5, ნახვა 8—1 საათ. და 3—7 ს.
1—1

საქართველოს
კომპარტიის ცეკა
გამომცემლობათა
მთავარი კანტორა
და ექსპედიცია
ამით აცხადებენ, რომ ყოველგვარი მიწერ-მოწერა (გაზეთების წერა, მათი მიუღებლობა, დაგვიანება, დაკლება, ფულის გამოგზ სხვა) გაზ. „კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს, „მიწის მუშა“-ს
გამოცემათა შესახებ უნდა სწარმოებდეს
უთუოდ გამომცემლობათა მთავარ კანტ
სახელზე
თბილისი რუსთაველის პრ. № 24 ტელეფ. № 10—49.
ცეკას გამომცემლობათა მთავარი კანტორა და ექსპ

ხელის მომწერთა საყურადღებ
ვინც გაზ. „კომუნისტს“ „მუშა“-ს და „მიწის მუ
თავის დროზე ან სრულებით არ ი
ვთხოვთ დაუყონებლივ აცნობონ კანტორას.
რუსთაველის ქ. № 24. მეორე სართული ტელ. № 10—49.

თბილისის საბაჟ
ცხადებს, რომ 15 აგვისტოს, დილის
××× დანიშნულია ×××
საჯარო ვაჭრობ
კონტრაბანდით შემოტანილ შემდეგი საქონ
სასყიდათ: შევიოტი, ტყავი, აბრეშუმის და
ჩულქები, საგალანტერიო საგნები, პარფიუმე
სხვ.
1408 2—1. ხაბაჟის დროებითი მმართველი—კიქაძ

ექიმ სოკლეტის, გამერტენ შმიდტის და ბილის
კეფირი
გამოკვლევ მიხედვით პროფ
ლეჩხის და მეჩნიკის ცდების თანახმად
ხელს უწყობს წონაში მატებას, ითვლება საუკეთესო საშუალებად
ნაკლულოვანების, კუჭის კატარის, ფილტვის ტუბერკულოზის
საერთო სისუსტის დროს
მიმართეთ თქვენს ექიმს და ის დაგინიშნავთ კეფირის რ
რი ნორმა უნდა დალიოთ თქვენი ჯანმრთელობის აღსადგ
მისამართი: ლორის-მელიქოვის ქ. № 6 ღ. კორონას ლაბორატ
კავშირის წევრებს ეძლევათ განსაკუთრებული შეღავ
განყოფილება ფუნიკულიორზე და აბასთუმანში
10—6 ნ. 1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი და არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მე
ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელმძღ
ბით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

დავკარგე პირადობის მოწმობა და პარტიული ბილეთი მოცემული ს. ა. კ. კ. ც. კომიტეტის მიერ № 1762, ნ. რუსიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1706 1—1

დავკარგე ბორჯომის რ დღის პრო წიგნაკი იოსებ გიორგის ძე მედ ხელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 171

დავკარგე საწევრო წიგნაკი № 275 ავჭალის ალკომის ძე ბალდასაროვის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1712 1—1

დავკარგე პასპორტი კა ტიროსოვის სა ითვალოს გაუქმებულად. 170

ეროვნული

ტირაჟი—13,500

სტამბა „ზარია ვოსტოკას“, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.